# ახალგაზრდა ივერიელი

25 მაისი შაბათი 1991 № 60 (11693)

გამოდის 1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



## 26 მაისი დავით აღმაშენებელსა ჰგავს

დღეები საოცრად ჰგვანან ადამიანებს, დღეებიც ადამიანებივითაა — გულგახსნილი, ხევდიანი, პირქუში, გაუგებარი, მაგრამ ხასიათის მსგავსების გარდა, თურმე, შეიძლება ბედიც ერთნაირი დაჰყვეთ დღეებსა და ადამიანებს; დღეებისთვისაც დატრიალდეს უკუღმა წუთისოფლის ბორბალი, მათაც ჰქონდეთ აღზევებისა და დაცემის პერიოდები და გამორჩეულებმა უკვდავებასაც კი მიაღწიონ. აბა, რითი არ ჰგავს სულ ცოტა ხნის წინათ გამორჩეულობის წითელი ფერით კალენდარში აღნიშნული 25 თებერვლის, 7 ნოემბრის, 5 დეკემბრის ბედი სტალინისა თუ სერგო ორჯონიკიძის ბედს...

26 მაისი დავით აღმაშენებელსა ჰგავს. აღმაშენებლივით მასაც გამაერთიანებლის მისია დაეკისრა. თუ მირონცხებულმა გვირგვიოსანმა უძლიერეს მტერთან უსასტიკესი ბრძოლის მოგებით ფიზიკურად გააერთიანა საქართველოს დაფლეთილი და სისხლისგან დაწრეტილი ნაწილები, 1918 წლის მაისმა არანაკლებ ვერაგი მტერი მოიგერია და სულიერად გააერთიანა სრულიად საქართველო; გააერთიანა იმ სიამაყის გრძნობით, რასაც შეწყვეტილი სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა იწვევს თითოეულ ჭეშმარიტ მოქალაქესა და ზნეკეთილ ადამიანში.

მართლაც იღბლიანი ყოფილა 26 მაისი.

ბედისწერამ ისე განაგო, რომ 73 წლის შემდეგ კვლავ მას დაეკისრებოდა ახალი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მისია — ქცეულიყო მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო კურთხევის დღედ.

და უთუოდ განგების ხელი ურევია იმაშიც, რომ სწორედ ამ დღეს დაიბადა მერაბ კოსტავა, კაცი, რომლის ღვაწლსაც ვერ შეაფასებს თუნდაც უპირველესი, უმშვენიერესი და უკეთილშობილესი ეპითეტი — ეროვნული გმირი. მერაბ კოსტავა მეტია საქართველოსთვის, ვიდრე ნებისმიერი ეროვნული გმირი. იგი იყო კაცი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა ადამიანობის მისიაც და მოძმეთა ცოდვების ტვირთებაც შეეძლო.

და ახლა, როცა სიკვდილ-სიცოცხლის საზანი გადალახულია, უმარტივესი სიცხადით ვხვდებით ბუნების იმ უზუსტეს კანონზომიერებას, რომ მერაბ კოსტავა დაიბადა 26 მაისს, იმ დღეს, რომელიც საოცრად ჰგავს საქართველოს გამაერთიანებელ მეფეს, დავით აღმაშენებელს და საოცრად ჰგავს თვითონ მას, მერაბ კოსტავას, კაცს, რომელსაც შეეძლო საქართველოს გაერთიანება და რომლის სახელი მომავალში კვლავაც იქცევა ქართველთა ერთიანობის დუღაბად.

დღეს 25 მაისია, საქართველოს კიდევ ერთი დღესასწაულის კვირაძალი. უკვდავ ისტორიამდე ერთი ნაბიჯი რჩება.

## 6 შეკითხვა პრეზიდენტობის კანდიდატებს

1. რა ძირითადი თვისებები უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს და პრეზიდენტობის არსებული კანდიდატებიდან, ვის გააჩნია ეს თვისებები მეტ-ნაკლებად?

2. საქართველოში ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების საქმეში ვის მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი არსებული კანდიდატებიდან ან პარტიებიდან, რომლებმაც ეს კანდიდატები წარადგინეს?

3. პარტიამ ან ბლოკმა, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ, ან პირადად თქვენ, რა გააკეთეთ იმისათვის, რომ საქართველოში მიგვეღწია მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნებისათვის, რის შედეგადაც გახდა შესაძლებელი საქართველოში დემოკრატიული წესით პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება?

4. შეგეძლოთ თუ არა გეფიქრათ საქართველოში პირველ პოსტზე არჩევა კომუნისტური რეჟიმის დროს?

5. დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტს, ცხადია, უნდა გააჩნდეს დიდი ინტელექტუალური პოტენციალი და მყარი ეროვნული სულისკვეთება ამასთან, გაცნობიერებული გაქვთ თუ არა, რომ ეს არის ჯვარცმა, გოლგოთას გზა, უდიდესი ისტორიული პასუხისმგებლობა ერის წინაშე. ხართ ამისათვის მზად?

6. რა როლს ასრულებს საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე კონგრესი და რა პოზიცია გიჭირავთ მის მიმართ?

დღეს წინასაარჩევნო „ციებ-ცხელების" ბოლო დღეა, საარჩევნო მარათონი ფინიშს მიუახლოვდა. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის მძიმე და დაძაბული დროა, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს და დაგვთანხმდნენ ინტერვიუზე. ამისათვის მათ რედაქცია მადლობას უხდის და წარმატებას უსურვებს ერისთვის ხასიათო საქმეებში.

პრეზიდენტობის კანდიდატებს ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი ზოია შუშიაშვილი.



ირაკლი შენგელაია



ვალერიან ადვაძე



ნოდარ ნათაძე

ზვიად გამსახურდია



ჯიმი მიქელაძე



თამაზ კვაჭანტირაძე



1. დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს უნდა გააჩნდეს ძალა და უნარი საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მისი შემდგომი დაცვისა, ე. წ. ცენტრის მიმართ მტკიცე და უკომპრომისო პოზიციის დაკავებისა. თუ ვის ხელეწიფება ეს, არსებული კანდიდატებიდან, დაე, თვით

1. აუცილებელ თვისებათაგან მიმაჩნია: გაწონასწორება, კრიტიკულ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება; ემოციების მაქსიმალური შეკავება, მოთმინება, სხვათა მოსმენის უნარი, პოლიტიკური ალღო. ნება მიბოძეთ ამ კითხვის მეორე ნაწილს არ ვუპასუხო.

2. ეროვნულ ცნობიერე-

1. უპირველესად, ქვეყნის თვისება, რომელიც საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, დემოკრატიას, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ აღორძინებას მოუტანს, ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს მას მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა თანამეგობრობაში...

ახლა, რაც შეეხება პრე-

1. უნდა იყოს დემოკრატი, სამართლიანი და ცდილობდეს კონტაქტებს ამყარებდეს ყველასთან. ეს თვისებები აქვს ნოდარ ნათაძეს, ირაკლი შენგელაიას, თამაზ კვაჭანტირაძეს.

2. ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების საქმეში ომამდეც და ომის შემდგომაც, წვლილი მიუძღვის ძალიან ბევრს და ბო-

პირველ ყოვლისა, მადლობას მოვახსენებ ინტერვიუიერს არჩევნებში წარმატების სურვილისათვის; ჩემი მხრივ, მეც ვუსურვებდი მას წარმატებებს და წინსვლას საზსახურებრივ საქმიანობაში და ამ ჩემი სურვილის განსახორციელებლად, ვფიქრობ, მეტი საფუძველი არსებობს, ვიდრე

1. მმართველის კლასიკური თვისებები (სიბრძნე, სიმამაცე, მართლიანობა და ა. შ.), აგრეთვე, თანამედროვე ეკონომიკაში, ტექნიკაში, სამხედრო საქმეში და იურიდიულ პრობლემებში გარკვეულობა; ევროპის და ამერიკის კარგი პირადი ცნობა — ეს თვისებები არა აქვს არც ერთ კანდიდატს. მაგრამ ჩვენი

დასასრული მე-2 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

# ხვალ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებია

## ზვიად გამსახურდია

ქართველმა ხალხმა განსაჯოს.

2. არ ვამცირებ რა ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ღვაწლს, მიმაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ცნობიერების საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშეს „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა.

3. „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ბლოკის ინიციატივითა და უშუალოდ ქართველი ხალხის თანადგომით ჩატარდა მრავალი მასობრივი აქცია, მათ შორის სამტრედიის რკინიგზის კვანძის ბლოკირება, რამაც აიძულა იმდროინდელი ხელისუფლება დათანხმებულიყო საქართველოში პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე.

4. საზოგადოებისა თ ვ ი ს ცნობილ გარემოებათა გამო, კომუნისტური რეჟიმის დროს ჩემთვის მიუღებელი იყო ყოველგვარი სურვილი და ფიქრი საქართველოში პირველი პოსტის დაკავებისა. პრეზიდენტობა არც დღესაა ჩემი .თვითმიზანი.

5. მე რომ არ მქონდეს გაცნობიერებული, თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს საქართველოს პრეზიდენტობა, არც დავთანხმდებოდი ჩემი კანდიდატურის წამოყენებაზე.

6. სამწუხაროა, რომ ე. წ. „კონგრესის" მოღვაწეობა ჰგავს ბალტიისპირეთში „ინტერფრონტების" მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია დემოკრატიული გზით არჩეული ეროვნული მთავრობის დამხობისაკენ, რასაც ადასტურებს მათი წინასაარჩევნო აქციები და განცხადებები. დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ „კონგრესი" და კრემლი ერთნაირი ეპითეტებით ამკობენ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას. აქედან დასკვნების გამოტანა მკითხველისათვის მიმინდვია.

## ირაკლი შენგელაია

ბას პიროვნება კი არ ალვიძებს, არამედ პირიქით. რა თქმა უნდა, ყოველი კონკრეტული პიროვნების მეტ-ნაკლებ ღვაწლს ერის წინაშე გარკვეული წვლილი შეაქვს ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღმოსავლური სიბრძნე ამბობს: მოძღვარი მოდის მაშინ, როცა შეგირდი მზად არის მოსახმენად. მოძღვარში ვგულისხმობ ეროვნულ ცნობიერებას, შეგირდში — კონკრეტულ პიროვნებას.

3. 1988-89 წლებში ვიყავი არაოფიციალური გაზეთის — „უწყებანის" რედაქტორი. ამ გაზეთის ფურცლებზე თითქმის ყოველ ნომერში იყო საუბარი მრავალპარტიულობის სამართლებრივი აღიარების შესახებ, რასაც, რამდენად უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, არ იზიარებდა ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი. 1989 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტიამ, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარ კომიტეტში ჩემი თაოსნობით შეიტანა წინადადება — კომიტეტს მოეთხოვა საქართველოს ოფიციალური წრეებისათვის მრავალპარტიულობის აღიარება. კომიტეტმა უარყო ეს წინადადება და პარტიამ დატოვა მისი შემადგენლობა. 1990 წელს, თუ რა წვლილი შეიტანა პოლიტიკურმა ბლოკმა „თავისუფლებამ" და მასში შემავალმა პარტიებმა მრავალპარტიულობის დამკვიდრების საქმეში და საარჩევნო კანონის მიღებაში, საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი.

4. არავითარ შემთხვევაში.

5. პიროვნება მზად არის თუ არა ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმისათვის, ირკვევა მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტულად მოდის ამ ნაბიჯის გადადგმის დრო.

6. ეროვნულ კონგრესთან პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლებაში" შემავალი პარტიებისა და პირადად ჩემი დამოკიდებულება კარგა ხანია გარკვეულია: ლოიალურნი ვართ კონგრესში შემავალი უკლებლივ ყველა პარტიის მიმართ, მაგრამ კონგრესის აღიარებას, საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე კონსტიტუციური ბრძოლის ინსტანციად ვერ მივიღებთ.

## ჯიმი მიქელაძე

ზიდენტობის კანდიდატებს, უფლება მომეცით პასუხი არ გაგცეთ კითხვის ამ ნაწილზე.

2. ალბათ, უწინარესად, ჩვენს ინტელიგენციას, ხწორედ ისინი ფლობენ ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების უძლიერეს ბერკეტებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატები ხწორედ ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება პიროვნულ წვლილს, მოდით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ისტორიას მივანდოთ.

3. მოგეხსენებათ, უკანასკნელი 70 წლის მანძილზე კანონი პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესახებ იმ უზენაესმა საბჭომ მიიღო, სადაც დეპუტატთა შორის აბსოლუტურ უმრავლესობას კომუნისტები წარმოადგენენ. ვფიქრობთ, ეს თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ეს დემოკრატიზაციის, რადიკალური გარდაქმნის იმ კურსის ლოგიკური შედეგია, რასაც საფუძველი შარშანდელმა ოქტომბრის არჩევნებმა ჩაუყარა.

4. არა, არ მიფიქრია, მაგრამ ეს არაფრით არ იყო დაკავშირებული რომელიმე რეჟიმთან.

5. იკისრო პრეზიდენტობა, მით უფრო დღევანდელ საქართველოში, ეს უდიდეს გამბედაობასთან ერთად, უდიდეს პასუხისმგებლობას ნიშნავს საკუთარი ერისა და ქვეყნის წინაშე. გულახდილად გეტყვით, ძალზე გამიჭირდა თანხმობის მიცემა პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებაზე. რაც შეეხება ჩემს მზადყოფნას, აქ მხოლოდ ერთი რამ არ მაეჭვებს, ნამდვილად ვარ მზად ყველაფერი უშურველად გავიღო ჩემი ქვეყნისათვის.

6. კომუნისტთა დღევანდელი თაობა პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობებში ევოლუციური, ეტაპობრივი, თანმიმდევრული გარდაქმნების მომხრეა. არ ვიზიარებთ შეურიგებლობის, რადიკალიზმის, არასამართლებრივი მეთოდებით ბრძოლის კურსს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ყველგან და ყველა შემთხვევაში აუცილებელია პოლიტიკური ძალების, მთელი ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის კონსოლიდაცია.

## ვალერიან ადვაძე

ლოს მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას.

3. პარტია, რომელსაც მე წარმოვადგენ — „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი", დაფუძნდა 1990 წლის აგვისტოში. პირადად მე, აქაც და მოსკოვშიც, ყრილობაზე თუ სესიებზე, ვიბრძოდი არამარტო საქართველოს დამოუკიდებლობისა თ ვ ი ს, არამედ იმისთვისაც, რომ მიგვეღწია დემოკრატიისათვის. გასული წლის 27-28 აგვისტოს, საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე, პირადად მე, გარკვეული შუამავლის როლს ვასრულებდი უზენაეს საბჭოსა და ოპოზიციას შორის, რათა მიგვეღწია საარჩევნო კანონპროექტის მეორე ვარიანტის მიღებისათვის.

4. კომუნისტური რეჟიმის დროს საერთოდ არ შეიძლებოდა ფიქრიც კი დემოკრატიულ არჩევნებზე.

5. იმ კანდიდატისათვის, ვისაც შეხვდება წილად არჩევნებში გამარჯვება და პრეზიდენტი გახდება, ეს არის ნამდვილად ჯვარცმა, გოლგოთა. ისტორიული პასუხისმგებლობა ძალიან დიდია და საქართველოს გადარჩენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ იგი შესძლებს ამოიყენოს მხარში ხალხი: ქართველებიც და არაქართველებიც.

6. კონგრესში არის გაერთიანებული საკმაოდ დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, ჩვენი ერის ნაწილი და იმის გამოყენება აუცილებელია საქართველოს კეთილდღეობისათვის. ჩემი პოზიცია შემრიგებლურია კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის.

## თამაზ კვაჭანტირაძე

ინტერვიუერის კეთილი სურვილისა ჩემს მიმართ.

1. პრეზიდენტს, უპირველეს ყოვლისა, მომადლებული უნდა ჰქონდეს სამართლიანობის გრძნობა. მეკითხებით, ვის გააჩნია მეტნაკლებად ეს თვისება. მეტნაკლებად, ალბათ ყველას.

2. ცალკეულ პიროვნებას, ისევე როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მართლაც შეუძლია ეროვნული ცნობიერების გამოფხიზლებაც და მოჩლუნგებაც, შესაბამისად — ეროვნული მოძრაობის გაცოცხლებაც და ჩაცხრობაც, იმედის გაღვივებაც და გულაცრუებაც. ვინ რა წვლილი შეიტანა ამ საქმეში, ამას პირუთვნელად მხოლოდ დრო გამოაჩენს. პირადად ჩემი წვლილი ამ საქმეში ერთობ მოკრძალებულად მიჩანს.

3. შეკითხვაში ზოგი რამ დასაზუსტებელია. სამწუხაროდ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დემოკრატიული წესით არჩევნების ჩატარება ნაკლებად არის მოსალოდნელი. ასევე ვერ ვხედავ უშუალო მიზეზშედეგობრივ კავშირს მრავალპარტიულ არჩევნებსა და დღევანდელ არჩევნებს შორის. თუ მრავალპარტიულ არჩევნებს ერთ ასპექტად წარმოვიდგენთ თავისუფლებისა და დემოკრატიული ცხოვრების წესის დამკვიდრებაში, ჩემი ჟურნალისტურ-პედაგოგ ი უ რ ი საქმიანობით მცირე წვლილი ამაში, ალბათ, ჩემიც იქნება.

4. ტოტალიტარული შეიძლება იყოს როგორც კომუნისტური, ასევე არაკომუნისტური რეჟიმიც. ასეთი რეჟიმების დროს მონდომება პიროვნების საქმეა, აღსრულება — რეჟიმის.

5. ჯვარცმის პერსპექტივის წინაშე თვით მაცხოვარსაც კი ძრწოლა იპყრობს გეთსემანიის ბაღში ლოცვისას. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მზად ვარ ამ ჯვარის ღირსეულად მტვირთველს რიგით მოლაშქრედ გავყვე თავისუფლების გოლგოთურ გზაზე.

6. კონგრესმა უფრო ქმედითი, კონსტრუქციული როლი უნდა შეასრულოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. ჩემი დამოკიდებულება კონგრესის მიმართ ლოიალურია.

## ნოდარ ნათაძე

ამოცანა დღეს არა საქართველოს მომავალი მმართველის პოვნა, არამედ ახეთი მმართველის გაზრდაა, რასაც სუფთა პოლიტიკური ჰაერი, ანუ დემოკრატია სჭირდება.

2. გააჩნია, რას ვუწოდებთ ცნობიერების გამოღვიძებას. მკრეხელობაა აქ იმათი არდახსენება, ვინც თითქმის ყოველწლიურად ისვრიტებოდა და ციმბირდებოდა საქართველოს თავისუფლებისათვის 1921 წლიდან ხრუშჩოვის სიკვდილამდე.

3. სახალხო ფრონტის დეპუტატებმა სსრკ უზენაეს საბჭოს ა) გააუქმებინეს 1990 წლის 25 მარტის არჩევნები მათი ერთპარტიულობის საბაბით. ბ) გააუქმებინეს მას კონსტიტუციის მუხლი კომპარტიის, როგორც მმართველი პარტიის შესახებ. გ) მიაღებინეს დადგენილება მრავალპარტიული არჩევნების შესახებ. ამის შემდეგ ამ დადგენილების რეალიზაცია დროის საქმეღა იყო. არჩევნების დროის გადმოწევა (და მისი იქით და იქით არგადაწევა), რა თქმა უნდა, გარეგან ზემოქმედებასაც საჭიროებდა.

4. რა თქმა უნდა, არა!

5. ნებისმიერი ჯარისკაცი მზად უნდა იყოს ნებისმიერი ბრძოლისათვის, მათ შორის მეც. როცა საქმე გასაკეთებელია, იგი ვიღაცამ უნდა გააკეთოს, მით უმეტეს, როცა ხედავს, რომ სხვა ვერ აკეთებს ან ძალიან ცუდად აკეთებს. თქვენს კითხვას ვუპასუხებ: დიახ, მზად ვარ.

6. კონგრესი, როგორც ორგანო, რა თქმა უნდა, სათათბირო და აზრის შემმუშავებელი ორგანოა. სხვა, პარლამენტის ალტერნატიული ფუნქციები მას არა აქვს. მაგრამ ის გარემოება, რომ კონგრესში შესულ და მის გარშემო მდგარ პატრიოტ ადამიანთა უზარმაზარი პოტენციალი საქმის გარეთ არის დატოვებული ხელისუფლების მიერ, მე მიუტევებელ დანაშაულად მიმაჩნია. ეს პარტიული (და არა ზეპარტიული, ან სახელმწიფოებრივი) მართვის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და სამწუხარო გამოვლინებაა.

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

# ბრძანებულება

## მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადის გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებითა და სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით თავსმოხვეულმა გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადის შემოღებამ მნიშვნელოვნად გააუარესა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა და გამოიწვია მისი სამართლიანი გულისწყრომა.

რესპუბლიკის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1991 წლის 23 მაისიდან რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმდეს მოსახლეობისათვის სარეალიზაციო საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული გაყიდვიდან 5-პროცენტიანი გადასახადი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 22 მაისი.

---

საქართველოს რესპუბლიკის

# კანონი

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც შეუწყნარებლად მიაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პატივისა და ღირსების შელახვა, ადგენს:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის $206^1$ მუხლი:

„მუხლი $206^1$. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საჯარო შეურაცხყოფა ან მის მიმართ ცილისწამება —

ისჯება ჯარიმით სამი ათას მანეთამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებით —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ორ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით ექვს წლამდე ვადით.

2. მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებას, რომელმაც გამოაქვეყნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხმყოფელი ან მის მიმარ ცილისწამების შემცველი მასალა, სასამართლოს გადაწყვეტილებით ეკისრება ჯარიმა ოცდახუთიათას მანეთამდე ოდენობით.

მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალების საქმიანობა, რომელიც განმეორებით გაავრცელებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შეურაცხმყოფელ ან მის მიმართ ცილისწამების შემცველ მასალებს, შეიძლება შეწყდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

3. ეს კანონი ძალაშია მისი გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი

1991 წლის 23 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიერი ძმები

# „ქართველები შეარიგე, მერაბ!“

საქართველოს ერთგულება ენატრება,
სიყვარული ენატრება გელათს,
მთაწმინდიდან გადმოდექი, გევედრები,
ქართველები შეარიგე, მერაბ!
საქართველოს სამართალი ენატრება,
საქართველო შინდისფერად ელავს,
ანგელოზებს შეავედრე სამართალი,
სათნოება შეავედრე, მერაბ!
მუქი ნისლი დასწოლია შავნაბადას,
თეთრი ცხენი ელოდება მხედარს,
საქართველოს ბასიანი ელანდება
და დიდგორი ესიზმრება, მერაბ!
ცრემლიანი შემოგვყურებს ღვთისმშობელი,
სამთავისი ხევდიანად რეკავს,
მთაწმინდიდან გადმოდექი, გევედრები,
ქართველები შეარიგე, მერაბ!

ზუსტად არ მახსოვს, პირველად როდის მოვისმინე პოეტ თინათინ მღვდლიაშვილის ამ ლექსზე დაწერილი სიმღერა. მაგრამ დღესაც, ყურს მოვკრავ თუ არა, ადგილზე ვიყინები და გული ყელში მებჯინება. რომელია ამაში „დამნაშავე“ — ტექსტი, მუსიკა თუ შემსრულებლის ათას კაცში გამოსარჩევი ხმა და უბადლო ოსტატობა, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ კაცი, რომელსაც ქართველების შერიგებას შესთხოვენ, ერთადერთი იყო ამის შემძლე, რომ იგი ყველას დაგვაკლდა, რომ ხვალ — მის დაბადების დღეს — ერი წუთით გაირინდება მერაბ კოსტავას სახელზე დანთებულ სანთელთან...

ეს ლექსი თითქმის ერთი წლის წინ დაიწერა, მაშინ არც ისე თვალშისაცემი იყო ჩვენი ერთობისთვის გაჩენილი ბზარი. მაშ, რამ დაგაწერინათ ასეთი ტკივილითა და მუდარით სავსე სტრიქონები?

— დიახ, „ქართველები შეარიგე, მერაბ!“ 1990 წლის ზაფხულში, ივნისში, დავწერე, — მეუბნება ავტორი, — იგი მთავრობის სასახლის კედელზე იყო გაკრული... და იყო კიდევ მეორე ლექსი „სად იბადება ირმის ნახტომი, ბატონო ზვიად?“, რომელიც მივუძღვენი მერაბის ქრისტესმიერ ძმას, დისიდენტს, პოეტს... ორივე მაშინ დავწერე...

მართალია, დაპირისპირება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა შორის ჯერ კიდევ არ იყო ძალიან მკვეთრი, მაგრამ ცუდი, დამანგრეველი, ბოროტი ენერგია რომ გროვდებოდა საქართველოს ცაზე, უკვე აშკარა იყო. უბრალოდ, ვიგრძენი, რომ პატარა შეძახილი იყო საჭირო... შედეგი? შედეგის რა მოგახსენოთ! დაიწერა ლექსი, შემდეგ კომპოზიტორმა ზურაბ მჟავიამ შექმნა დიდებული მუსიკა, ბრწყინვალედ იმღერა გოგი დოლიძემ... და დამთავრდა! მე არ მინდა ასე დამთავრდეს ლექსის ან სიმღერის სიცოცხლე... ძალიან მინდა ჩემი ლექსები მივიდეს ქართველის გულამდე და გონებამდე...

ეს ლექსი კიდევ სიყვარულმა დამაწერინა, იმ დიდმა ტკივილმა დამაწერინა, სიცოცხლე რომ გაგვიმწარა ქართველებს საუკუნეების მანძილზე. არ ვიცი, რა გვჭირს, რატომ არ გვიყვარს ერთმანეთი, რატომ არ ვინდობთ ერთმანეთს! ხანდახან მგონია, რომ ქართველებს მკვდარი ქართველები ცოცხლებს გვირჩევნია...

ძალიან მინდა ვნახო ერთიანი, ძლიერი, შეკრული საქართველო. ძალიან მენატრება ღიმილიანი, სათნო, კეთილი სახეები. მენატრება მუშტად შეკრული ქართველებით სავსე რუსთაველის პროსპექტი.

მტერმა რა დამანგრეველ ძალებსაც არ უნდა მიმართოს, ვერ მოგვერევა, თუ ჩვენ, ქართველებმა არ დავლეწეთ და დავანგრიეთ ის, რაც საუკუნეების მანძილზე გვიშენებია.

...მერაბის ნათელ სულს მივმართე ისევ გაჭირვების ჟამს, ისევ მერაბს შევევედრე, შეერიგებინა ქართველები. მერაბი ხომ განსახიერება იყო კაცთმოყვარეობისა და სულგრძელობისა...

და მართლაც, არ მეგულება კაცი, კითხვაზე — ვინ არის მერაბ კოსტავა? — პასუხი დააგვიანოს:

უპირველესად ქრისტიანი, გულმოწყალე, თავმდაბალი,



ადამიანობის, კაცობის, მამულიშვილობის სიმბოლო, ყოველი ქართველისთვის ნაწამები, მაგრამ სულით გაუტეხელი, მუდამ შემართული, ყალყზე შემდგარი რაინდი.

მერაბი რწმენაა, იმედია, საქართველოს კეთილი სული.

**ნინო კლარჯეიშვილი**

# საუკუნეობრივი ოცნების აღსრულებისათვის



ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს, იმ ბნელეთით მოცულ საუკუნეში, დამოუკიდებლობის დაკარგვიდან 18 წლის გასვლის შემდეგ, საქართველოს მოევლინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელი, შემდგომში მისი ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი, ქართველი ერის მიერ ეროვნულ გმირად აღიარებული, დიდი მამულიშვილი — მერაბ კოსტავა. მან მთელი თავისი ცხოვრება მოწამეობრივი გზით განვლო. 60-იანი წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან, დაუკავშირა თავისი ბედი ჩაგრული სამშობლოს ბედს, და თავის თანამოაზრეებთან ერთად დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა. კერძოდ, თავის თანაკლასელ ზვიად გამსახურდიასთან ერთად გამოსცემს ჟურნალებს: „საქართველოს მოამბე“, „ქართვლის დედა“, „ქეთო“ (ქართველი ერის თავისუფლების ორგანიზაცია), ავრცელებს პროკლამაციებს და წერილებს საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ, რასაც მოსდევს დევნა არა მარტო თავისი, არამედ ოჯახის წევრებისაც, დაპატიმრება, კატორღის წლები, და ა.შ. იმ თაობიდან ბევრი ჩამოაცილეს იმ საქმიანობას: ზოგს, მოახერხეს და შეაცვლევინეს შეხედულება, ზოგს ჯანმრთელობამ უმტყუნა, ზოგსაც ციხის ჯურღმულებსა და ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებში მოუსპეს სიცოცხლე. ეროვნული მოძრაობის ძველი წარმომადგენლებიდან მხოლოდ ორნიღა შემორჩნენ: თვით ბატონი მერაბ კოსტავა და მისი ქრისტესმიერი ძმა, შემგომში ეროვნული მოძრაობის პატრიარქად წოდებული, ბატონი ზვიად გამსახურდია. იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელიც გადამწყვეტ ფაზაში შედის 1989 წლის იმ ავადმოსაგონარი 9 აპრილიდან. იმავე, 1989 წლის 13 ოქტომბერს, მაშინ, როდესაც ჰაერივით სჭირდება საქართველოს ეროვნულ მოძრაობას მისი გვერდში დგომა, დაასრულა მისი მიწიერი მისია და ეს მრავალტანჯული, მაგრამ მუხასავით მუხლმაგარი ლომკაცის სული, ერის ღირსება ზვარაკად შეეწირა. **მას ახლა 52 წელი შეუსრულდებოდა.** თავის სიცოცხლეში, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მოვლენები ასე სწრაფად განვითარდებოდა და იმ ავბედითი 9 აპრილიდან რაღაც ორი წლის გასვლის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს და მისი დაბადების 52-ე წლისთავზე, **26 მაისს,** ჩატარდებოდა **დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის პირველი საყოველთაო არჩევნები.**

ამ დღისთვის სპეციალურად ვეწვიეთ მერაბის დედას, ქალბატონ ოლღას, და ვთხოვეთ, მოეთხრო ცოტაოდენი რამ მერაბის ბავშვობაზე, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდა. ამ პატარა, მაგრამ გულთბილ მონათხრობს თქვენც გიწილადებთ, ძვირფასო მკითხველებო.

**— ქალბატონო ოლღა, მერაბი, როგორც ეროვნული მოღვაწე, საქართველოში ყველასათვის საყვარელი და დაუვიწყარია, მაგრამ მისი ბავშვობის შესახებ ვიწრო წრეში თუ იცის ვინმემ რამე, ხომ არაფერს გაიხსენებდით?**

— როგორ არა, შვილებო. მისი დაბადების შემდგომ ჯანმრთელობა გამიუარესდა და მერაბი ბებიას, ჩემს მამასთან, ოჯახში იზრდებოდა. მამაჩემი განათლების დარგში ცნობილი მოღვაწე იყო და ბავშვობიდან მერაბს ვაჟკაცური სული სწორედ მან შთაბერა. მერაბი იყო ნიჭიერიც და ძალიან ბეჯითიც, ორივე ერთად. სწავლობდა მუსიკალურ ათწლედში, ქალბატონ ირინე პეტროვასთან. ქალბატონი ირინე აღფრთოვანებული იყო თავისი მოწაფით და იგი მას რიხტერს ადარებდა, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა, თუ იგი მუსიკას გაჰყვებოდა. როგორც იცით, მერაბმა თუმცა დაამთავრა შემდგომ კონსერვატორიაც, მაგრამ სხვა გზა აირჩია სასპარეზოდ.

**— მერაბი ჩვენ გვახსოვს როგორც ვაჟკაცობის, თავგანწირვის, პირთათმენის ცოცხალი მაგალითი, რა თვისებებს გაიხსენებდით მისი ბავშვობიდან?**

— განსაკუთრებული მისი თვისება იყო სიკეთე, თავმდაბლობა და მომთმენობა. ბავშვობაში, ერთხელ გაჭრილ ხელში ინფექცია შეეჭრა, მიუხედავად დიდი ტკივილებისა, ერთხელაც არ დაუჩივლია. ექიმთან რომ მივიყვანე, ექიმს გაუკვირდა, როგორი მომთმენი ყოფილაო. საერთოდ, არ მახსოვს ოდესმე რამეზე დაეჩივლოს.

**— ერის გამოღვიძების საქმეში, სხვებთან ერთად უდიდესი როლი ითამაშეს მერაბმა და მისმა თანამებრძოლმა, აწ უკვე საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. როდის დაიწყეს მათ მეგობრობა და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა?**

— მერაბი მეორე ჯგუფიდან სწავლობდა ზვიადთან ერთად. ისინი ბავშვობიდანვე დამეგობრდნენ. დადიოდნენ სიონის ეკლესიაში, სწავლობდნენ ბიბლიას და სახარებას, საღვთო და საერო ისტორიას. აღსანიშნავია, რომ მერაბის სულ არ აინტერესებდა ჩაცმა, ზვიადსაც ძალიან უბრალოდ ეცვა. მერაბმა უკვე მეცხრე ჯგუფში ყოფნისას, მტკიცედ განმიცხადა, მე პოლიტიკური მოღვაწეობა უნდა დავიწყოო. არ გასულა დიდი ხანი და მიბარებენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ში, სადაც მიდის მკაცრი დაკითხვა: „იცით თუ არა თქვენ, რა დაწერა თქვენმა შვილმა“? მე გამიკვირდა, რა უნდა დაეწერა ასეთი-მეთქი, ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი. შემდგომ მითხრეს, რომ დაუწერია ასეთი სახის პროკლამაციები: „დადგება განკითხვის დღე კრემლის ჯალათების დასასჯელად“.

**— რას უსურვებდით ქართველ ხალხს ამ ბედნიერ დღეს?**

— ჩემს დაჩაგრულ ერს, ჩემს ქართველ ხალხს, ვუსურვებდი მოსწრებოდეს სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფალ, ერთიან, ჭეშმარიტად ქრისტიანულ საქართველოს, საუკუნეობრივი ოცნების აღსრულებას. ამდენი უსიამოვნებებიდან თავის დაღწევას და ერთსულოვნებას. ღმერთმა დაგლოცოთ შვილებო.

**— გმადლობთ ქალბატონო ოლღა საუბრისათვის, გმადლობთ, კეთილი სურვილებისათვის.**

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.**

მასალა მოამზადა
**შოთა მენაბდიშვილმა**

# 26 მაისი

**1918 წლის** 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ქართველმა ხალხმა გააკეთა თავისი ისტორიული არჩევანი — ევლო თავისუფლებისა და დემოკრატიის გზით. ეს ნაბიჯი გადაიდგა უმძიმეს საგარეო და საშინაო პირობებში, როდესაც თითქმის ყველასთვის ცხადი გახდა, რომ არსებული პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ დამოუკიდებელ საქართველოს შეეძლო.

26 მაისმა საქართველო გააერთიანა და ეროვნული მონობისაგან გამოიხსნა. 26 მაისმა საქართველოს მოუტანა თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სუვერენობა. ამით მან განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართველი ხალხის ცნობიერებაში. 26 მაისი იქცა თავისუფალი საქართველოს სიმბოლოდ.

1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის საფუძვლები. მას ეყრდნობოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

26 მაისის აქტს მოჰყვა ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა ჩვენი მეზობლების — სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდანაც. 28 მაისს მათ მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტებს საფუძვლად ედო ორი დღის წინათ გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

საქართველოს დამოუკიდებლობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1918 წლის დასაწყისში საქართველო დატოვა მეფის რუსეთის არმიამ, რომელსაც აღარ სურდა დაპყრობითი, იმპერიალისტური ომის წარმოება და თავისი სურვილით სამშობლოში ბრუნდებოდა. სამი წლის შემდეგ — 1921 წლის თებერვალში — საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა ახალი — საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარი, რომელიც „ინტერნაციონალიზმის“ და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის განხორციელების“ დროშით არსებითად რუსეთის ძველ იმპერიალისტურ მიზნებს ემსახურებოდა — ხელახლა იპყრობდა ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ იმ ხალხებს, რომლებიც თავისუფლების გზას დაადგნენ, თანაც არა მარტო იპყრობდა, არამედ ითრევდა უდიდეს სისხლიან ექსპერიმენტში, რომელსაც ბოლშევიკები ახალი საზოგადოების მშენებლობას უწოდებდნენ.

საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ხიშტების შემწეობით ხელისუფლების სათავეში მოსული ქართველი ბოლშევიკებისათვის, მათი იდეოლოგიიდან და ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ბევრი რამ იყო მიუღებელი ჩვენი ეროვნული ღირებულებებიდან, მათ შორის 26 მაისიც — საქართველოს თავისუფლების სიმბოლო. მათთვის მიუღებელი იყო დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფალნი პირველ ხანებში თავს მყარად ვერ გრძნობდნენ და ხალხს საჯაროდ აღუთქვამდნენ, რომ ხელუხლებელი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ისინი ტაქტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე იძულებულნი გახდნენ დათანხმდებოდნენ 1921 წლის 26 მაისის აღნიშვნასაც. მაგრამ უკვე მომდევნო წლიდან საბჭოთა საქართველოს ოფიციალურ საზეიმო თარიღად 25 თებერვალი გამოცხადდა — თბილისში რუსეთის წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის დღე. სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს 26 მაისს. უნდოდათ მისი ხსოვნა მთლიანად წაეშალათ ქართველი ხალხის მეხსიერებიდან, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო — ამისათვის ქართველ ხალხში თავისუფლების წყურვილი უნდა ჩაექლათ.

26 მაისი საქართველოს თავისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის სიმბოლოც გახდა. ამ ბრძოლას შეეწირნენ საქართველოს ღირსეული მამულიშვილები. ამდენად 26 მაისი მათი ხსოვნის დღეც არის.

1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმით ქართველმა ხალხმა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი ურყევი ნება—აღედგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, აღედგინა სწორედ 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ჩვენ ვიმყოფებით გარდამტეხ ისტორიულ ეტაპზე. დღეს გადადგმულ ყოველ ნაბიჯზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს მომავალი. 26 მაისი ჩვენთვის დიდ ისტორიულ გაკვეთილსაც წარმოადგენს, რომლის გათვალისწინებამაც შეიძლება გაგვიადვილოს წინსვლა.

26 მაისმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდმა დაამტკიცა, რომ ჩვენს ხალხს მოკლე დროში შეუძლია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა. ქართველმა ხალხმა უდიდესი ეროვნული ენერგია გამოავლინა სა-

(დასასრული მე-4 გვ.)

## წარსულის ფურცლები

# 1918 წლის 26 მაისის დირიჟორები

კარგა ხანია მიმდინარეობს კამათი იმის გარშემო, თუ ვის — ნოე რამიშვილს თუ ნოე ჟორდანიას უნდა მივანიჭოთ პირველობა, ვის მეტი დამსახურება აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ეს კამათი ჯერ კიდევ იმ პერიოდის საქართველოს შესაბამ არსებულ ინფორმაციულ მასალებში იგრძნობა, მომავალში კი ამის გამო შეიძლება დიდი დავა შეიქნას. ამდენად, სანამ 1918-1921 წლების თემა აქტუალურია და მას ბევრი მკვლევარიც ჰყავს, საჭიროა საკამათო საკითხების სრული სიმწვავით წარმოდგენა მათი ისტორიული სამართლიანობის პოზიციებიდან გადაჭრის მიზნით.

სხვადასხვა აზრის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ 1918 წლის 26 მაისს მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი, ფაქტია, რომ ნოე ჟორდანია ამ მთავრობის წევრიც კი არ ყოფილა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გამოაცხადა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (იგი არჩეული იყო 1917 წლის ნოემბერში პირველი ეროვნული ყრილობის მიერ), რომლის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანია.

სულ მალე მთავრობის მეთაურის პოსტზე ნოე რამიშვილი შეცვალა ნოე ჟორდანიამ. სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა თარიღს ასახელებენ. მაგალითად, საქართველოში გამომავალი ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტის“ (1918 წ. № 31, გვ. 43) ცნობით ეს შეცვლა მოხდა 26 მაისს, ხოლო ემიგრანტული ჟურნალის „მებრძოლი საქართველოს“ (1988 წ. № 5 (23), გვ. 9) ცნობით რამიშვილის ჟორდანიათი შეცვლა მოხდა 1918 წლის 24 ივნისს.

1919 წლის მარტში დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო. დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 12 მარტს დაადასტურა 1918 წლის 26 მაისის აქტი და დაადასტურა იგი დამფუძნებელი კრების წევრთა ხელმოწერებით. სწორედ ეს დოკუმენტია საყოველთაოდ ცნობილი. ზემოთმოტანილ ფაქტებში დეტალები წინააღმდეგობრივია, რატომ იქნა არჩეული დროებითი მთავრობის თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი, როდის, რატომ და რა პირობებში მოხდა ნოე რამიშვილის პოსტიდან გადაყენება? რატომ ჩათვალა საჭიროდ დამფუძნებელმა კრებამ აქტის ხელმეორედ გამოცხადება?

ამ კითხვებზე პასუხების სხვადასხვა ვერსიაა: ნოე რამიშვილის დამსახურება უფრო დიდი იყო, ვიდრე ნოე ჟორდანიას... ნოე რამიშვილის პოსტიდან გადაყენება იყო შიგაპარტიული გადატრიალება... საეჭვო იყო ეროვნული საბჭოს უფლებამოსილებანი...

1918-1921 წლის საქართველოს ზემოთაღნიშნული საკამათო საკითხებისა და სხვა მოვლენების გარკვევისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა ყოველთვის მხედველობაში გვყავდეს ერთი ისტორიული პიროვნება — სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელზეც იმდროინდელ საქართველოში ბევრი იყო დამოკიდებული იმ მოვლენებს შორის, რაც სუბიექტზეა დამოკიდებული.

სილიბისტრო ჯიბლაძე იყო 1918-1921 წლებში ხელისუფლების სათავეში მყოფი პირველი ეშელონის წარმომადგენელი, მათ შორის ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილის მასწავლებელი. სხვათა შორის, მისი მოსწავლეების „დამსახურებაა“, რომ ამ პიროვნებაზე მაინც ცოტა რამაა ცნობილი. მას თავის მასწავლებლად თვლიდა იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი). და სწორედ მოსწავლეების — ხან ჟორდანიას, ხან სტალინის გამო ერიდებოდნენ მის ხსენებას.

სილიბისტრო (სილვა) ჯიბლაძე დაიბადა 1859 წელს შუა ამაღლებაში. სწავლობდა ოზურგეთისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში. ამ უკანასკნელიდან რევოლუციური მოღვაწეობისათვის გარიცხეს. 1893 წლის 7 თებერვალს იყო III დასის ერთ-ერთი დამაარსებელი (ეს იყო პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია რუსეთის იმპერიაში. იგი რუსეთში დაარსდა 1898 წ.) 1894 წლის 7 მაისს მან ეგნატე ნინოშვილის ცხედართან წარმოთქვა სიტყვა, რაც იყო III დასის პირველი სახალხო გამოსვლა. ამ დასის პროგრამა შეადგინა ნოე ჟორდანიამ. სილიბისტრო ჯიბლაძე მონაწილეობდა მრავალ აქციაში, მათ შორის ქართველი ერის ჯალათის გენერალ გრიაზნოვის მკვლელობაში (1906 წ.) თუმცა მის საქმიანობაში მთავარი იყო პარტიის ფორმირება. ქართველი მენშევიკების 60000 წევრიდან 1917 წლის ბოლოს უმრავლესობამ სილიბისტრო ჯიბლაძისაგან მიიღო კურთხევა. მანვე დაუკავშირა 1901 წელს ქართული სოციალ-დემოკრატია რუსულ სოციალ-დემოკრატიას. იგი იყო პიროვნება, რომელიც თვლიდა, რომ შეიძლება სოციალ-დემოკრატიული იდეები და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა ერთმანეთთან იქნას შეთავსებული. უდიდესი იყო მისი გავლენა პარტიაში.

1919 წლის მარტის დამფუძნებელი კრება სწორედ სილიბისტრო ჯიბლაძემ გახსნა. უფრო მეტიც, საქართველოს დამფუძნებელი კრების რეგლამენტის პირველი თავის პირველი პარაგრაფი სწორედ მისთვის შეიქმნა. იქ ეწერა: „დამფუძნებელი კრების პირველ სხდომას გახსნის მისი უხუცესი წევრი, რომელიც მუდმივი თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს“. სწორედ მისი იდეა იყო, 1918 წლის 26 მაისის აქტის ხელმეორედ დადასტურება, რათა თავიდან ყოფილიყო აშორებული ყოველგვარი მითქმა-მოთქმა მისი კანონიერების შესახებ. იქნებ, ამანაც დაბადა ეჭვები?! სილიბისტრო ჯიბლაძეს ეკუთვნის ნოე ჟორდანიას მიერ მთავრობის მეთაურის პოსტის დაკავების იდეაც და განხორციელებაც. რეალური ხელისუფლებისა და ფიქტიური ხელისუფლების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მან სთხოვა ერთ მოსწავლეს დაეთმო პოსტი მეორე მოსწავლისათვის, რამეთუ, ამ მეორე მოსწავლეს ნოე ჟორდანიას ჰქონდა რეალური ხელისუფლება. ის იყო იმ ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც შექმნა მთავრობა, იგი იყო ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პარტიის — სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. საკითხის კამერული გადაწყვეტის გამო იგი დეტალებში არაა ცნობილი, თუმცა მასწავლებლის დირიჟორობაც სახეზეა. სილიბისტრო ჯიბლაძე გარდა ადრეული ბავშვობისა და დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდისა, სულ დევნილი იყო.

სილიბისტრო ჯიბლაძე 1921 წელს ემიგრაციაში არ წასულა. მას ესმოდა დარჩენის რისკი. ამიტომაც მეუღლე — ეკა დანდურავა და ვაჟი ვალენტინი (ვალია) გააყოლა საფრანგეთში ჟორდანიას მთავრობას, თვითონ კი დარჩა. იგი ეწეოდა არალეგალურ მუშაობას დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენისათვის, მაგრამ არ დასცალდა. 1924 წლისათვის, როგორც დღეს ირკვევა, საქართველო სილიბისტრო ჯიბლაძის ხელმძღვანელობით ემზადებოდა. ვლასა მგელაძის მოგონებებში ამასთან დაკავშირებით მოცემულია მოწმობა. იგი ამბობს, რომ „1922 წელს თებერვალში თბილისში გარდაიცვალა ჩეკისტების მიერ დევნილი, არალეგალურად მომუშავე და მთელი მოძრაობის ხელმძღვანელი, მთელი თაობის აღმზრდელი, შესანიშნავი ადამიანი სილიბისტრო ჯიბლაძე“ (გაზ. „ერთობა“, 1990 წ. № 5 გვ. 11.).

იგი 1922 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა ტიფით. დასაფლავებულ იქნა ძმისშვილის ეკატერინე ჯიბლაძისა და მისი მეუღლის ირაკლი თუხარელის მიერ ვერის ძველ სასაფლაოზე. საფლავი დაკარგულია. აქვე გთავაზობთ სილიბისტრო ჯიბლაძის დღემდე გამოუქვეყნებელ სურათებს, რომელიც მოგვაწოდა მისმა ძმის შვილიშვილმა ბატონმა გივი ჯიბლაძემ. ორთავე სურათი გადაღებულია 1909 წელს. ერთი თავისუფლებაში, მეორე ჟანდარმერიის მიერ. საქართველოს ჭეშმარიტად არ ჰყავს შვილი დასაკარგავი, მით უმეტეს არ ჰყავს შვილი დასავიწყებელი.

**მიხეილ ჯიბუტი,**
**პროფესორი.**





# საქართველოს შუაგული, საზღვრები და... შკიდურესობანი

თავისი შუაგული — გეოგრაფიული (გეომეტრიული) ცენტრი აქვს ნებისმიერ კონტინენტს, ნებისმიერ ქვეყანას, მცირე იქნება ის თუ დიდი.

ცნობილია, აზიის გეოგრაფიული ცენტრის აღმნიშვნელი ობელისკი წარწერით — „აზიის ცენტრი“, დგას ტუვის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ყიზილში, მდინარე ენისეის ნაპირზე.

ასევე ევროპის გეოგრაფიული ცენტრის მაჩვენებელი სვეტი აღმართულია იმიერკარპატეთის ოლქში, ქალაქებს — რახოვსა და ტიაჩევს შორის.

რაც შეეხება ქვეყნებს, მაგალითად, რუსეთის გეოგრაფიული ცენტრი აღმოსავლეთ ციმბირის ქალაქ ტურუხანსკის სამხრეთით, ქვემო და პოდკამენნაია ტუნგუსკას შუა ადგილზეა; ხოლო დაადგინეს იგი ცნობილმა ქიმიკოსმა დიმიტრი მენდელეევმა და მისმა ვაჟმა მათემატიკოსმა ივანე მენდელეევმა...

ახლახან, სამოცდაათიან წლებში, ჟურნალ „ტურისტის“ რედაქციის მეცადინეობით მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფმა განსაზღვრა სსრ კავშირის გეოგრაფიული ცენტრი. იგი მდებარეობს ტიუმენის ოლქში, მდინარე ტაზის ზემო წელში, — უკაცრიელ და ძნელად სავალ ტაიგაში, მუდმივი მზრალობის მიდამოებში, ამ წერტილიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი ქალაქი ტომსკი 300 კილომეტრზეა...

ყოველი ქართველის ბუნებრივი სურვილია, იცოდეს თავისი ქვეყნის შუაგული — სრულიად საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი. საგულისხმოა, რომ უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით მეცნიერთა და სპეციალისტთა ორმა ჯგუფმა იმუშავა და... საქართველოს გეოგრაფიული ცენტრის ადგილმდებარეობის ორი ვარიანტი შემოგვთავაზა.

მაშ ასე: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გეოსისტემათა კარტოგრაფიული მოდელირების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, დოცენტს, ბატონ ჯანსუღ კეკელიას თუ ვერწმუნებით, — „საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი დევს ხარაგოულის რაიონის ხუნევის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფელ ხევის ტერიტორიაზე, მდინარე რიკოთულას მარჯვენა შენაკად ღელეზე გადებული ხიდიდან აღმოსავლეთით 55 მეტრზე, ზღვის დონიდან 462,5 მეტრის სიმაღლეზე (იხილე: გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 1.12. 1989).

ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის (სამეცნიერო დარგში), გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ბატონ რომან ქვერენჩხილაძის პუბლიკაციის მიხედვით საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი მდებარეობს — „საჩხერის რაიონში, ჭიათურასა და საჩხერეს შორის დაახლოებით შუა მანძილზე, მდინარე ყვირილას მარცხენა მხარეს, ყვირილას მარცხენა შენაკად ცივწყაროს მარჯვენა ნაპირზე, სადაც გაივლის ზღვის დონიდან 500 მეტრიანი იზოხაზი“... (იხილე: „ახალგაზრდა ივერიელი“, 1.09.1990).

საქართველოს გეოგრაფიული ცენტრის განსაზღვრის მაუწყებელ ბოლო პუბლიკაციას რამდენიმე გამოხმაურება მოჰყვა და ყველაზ, როგორღაც, ჩვენთან მოიყარა თავი...

აი, ბატონი მურთაზ დეკანოსიძე, ინჟინერ-მშენებელი, შენიშნავს, რომ კარგი იქნებოდა დაგვედგინა არა საბჭოთა საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი, არამედ სრულიად საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი იმ საზღვრებში, რომელიც ერთა ლიგამ აღიარა. იქნებ გასათვალისწინებელია ის ნაწილიც შავი ზღვისა, რომელიც საქართველოს ეკუთვნის. და კიდევ, ბატონი მურთაზი რუსეთ-თურქეთის ყაჩაღური გარიგებით და სტალინ-ორჯონიკიძის გაჩუქების შემდეგ დარჩენილი საქართველოს გეოგრაფიული ცენტრის დადგენისადმი, გამოთქვამს პროტესტს.

მეცნიერთა მიგნებას ანალოგიური შეფასება მისცა გაზეთმა „დვრიტამ“ — „როგორც ვხედავთ, ამჯერად აღმოჩენილი და განსაზღვრულია **მხოლოდ საბჭოთა საქართველოს** გეოგრაფიული ცენტრი“ — წერს იგი (იხილე: „დვრიტა“, 11. 09. 1990).

ერთი სიტყვით, სრულიად საქართველოს შუაგულის — მისი გეოგრაფიული (გეომეტრიული) ცენტრის განსაზღვრა მომავლის საქმეა. ამიტომ მაძიებელ გეოგრაფებს, კარტოგრაფებს თუ პრობლემით დაინტერესებულ სხვა პროფესიათა წარმომადგენლებს ვთავაზობთ სამ რუკას: პირველი — ამოღებულია ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიიდან „საქართველოს საზღვრები“ (ტფილისი, 1919), სადაც ნაჩვენებია საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები — „განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული საზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებ რ ი ვ ი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა“. მეორე — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში“, და მესამე — „საქართველოს რესპუბლიკის ახლანდელი საზღვრები და ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები“.

**ზვანჯი მანია**










## წარსულის ფურცლები

ეროვნული საბჭოს 27 მაისის სხდომის სტენოგრამიდან.

სხდომის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია სიტყვას აძლევს უკრაინის რესპუბლიკის წარმომადგენელს **ხიმენკოს**. ხიმენკო: „უკრაინის რესპუბლიკის სახელით მოგესალმებით თქვენ, თავისუფალი საქართველოს შვილნო, დიდებული აქტის მოხდენის გამო, რომელმაც ხალხთა თვითგამორკვევის უმაღლესი ლოზუნგი განასახიერა ცხოველმყოფელი ფაქტით. ამ მძიმე მომენტში, როდესაც მრისხანე შავი ღრუბლები შემოწოლიან ჩემსა და თქვენს სამშობლოს, ჩვენ, ღრმად გვწამს, რომ უკრაინა, როგორც ძველად ხელიხელჩაკიდებულნი, ეხლაც თქვენთან ერთად ივლის. ვიმეორებ, ამ მძიმე განცდის წუთებში იგი არ დატოვებს ამ დიდებულ ხალხს, ვისთანაც საუკუნეობით სიყვარულსა და ძმურ დამოკიდებულებას განიცდიდა.

გაუმარჯოს დიდებულს, თავისუფალს საქართველოს! გაუმარჯოს ხალხის თავისუფლებას, გაუმარჯოს სუვერენულ საქართველოს!“

**ლიტვის წარმომადგენელი დალიამიდი:** „საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელნო, თავისუფალი საქართველოს შვილნო, წილად უდიდესი პატივი მხვდა — მოგესალმოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. ნება მომეცით, ეს მისალმება წავიკითხო იმ რედაქციით, როგორც მიღებულ იქნა იგი ჩვენი საოლქო საბჭოს მიერ, რაიც ეუწყება ლიტვის მთავრობას (კითხულობს): „27 მაისის სხდომაზე მოვისმინეთ რა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, ლიტვის საოლქო საბჭომ დაადგინა მიესალმოს ქართველი ხალხის მშობელი ქვეყნის სუვერენობის აღდგენას, თავისუფალი საქართველოს ახლად დაარსებულს დემოკრატიულ რესპუბლიკას. სულით და გულით გისურვებთ დღეგრძელობას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებას!“

**ებრაელთა ახლად არჩეული ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი ბრუზენბერგი:**

„ბატონებო, საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელნო! ებრაელთა ეროვნული საბჭო, რომელიც საყოველთაო ხმის მიცემითაა არჩეული, მხურვალედ ეგებება თქვენი სახით საქართველოს დამოუკიდებელ ხალხს და დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას. ჩვენი მისალმება განსაკუთრებულის გრძნობითაა გამთბარი. ებრაელთა გულში სამარადისოდ წარუშლელია ის ხსოვნა, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დროს, როდესაც ებრაელები საყოველთაო დევნას განიცდიდნენ თვით განათლებულ ქვეყნებშიც კი, ქართველი ერი მთელს ქვეყანას უჩვენებდა საუცხოო მაგალითს მოქალაქეობრივი თანასწორობისას, თავისუფლებისას და არაქრისტიან ერთა შეწყნარებისას და მათთან ძმური დამოკიდებულების განმტკიცებისას. ზნეობრივი ულრმესი დაკმაყოფილების გრძნობით მივესალმებით იმას, რომ ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპმა თავისი განსახიერება ჰპოვა სახელდობრ ქართველ ერში, რომელიც რაინდულად იცავდა თავისუფლებას, მესვეურობდა საზოგადო დემოკრატიულს მოძრაობას და, რომელმაც ამდენი გამორჩეული, ამდენი თავგანწირული მებრძოლნი გამოიყვანა საყოველთაო განთავისუფლების მოსაპოვებლად. ჩვენ გვწამს, რომ სახელდობრ საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი თავისუფლების საუკეთესო ცნებანი, საუკეთესო დემოკრატიული იდეალები, სწორედ აქა ჰპოვებენ უფრო მკვეთრ, უფრო ნათელს განსახიერებას, ვიდრე სხვაგან სადმე.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელები არასოდეს არ სთვლიან თავიანთ თავს განსაკუთრებულად გამოყოფილს, არა! ისინი უყურებდნენ და უყურებენ კიდეც თავიანთ თავს საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა საზოგადო ოჯახის წევრად. ჩვენ ჩვენს თავს ვთვლით ერთსა და იმავე დემოკრატიის ნაწილად, ერთსა და იმავე დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის უფლებიან წევრად, და მასთან, მზად ვართ გავწიროთ მთელი ძალ-ღონე, რომ ერთსულოვნად ვემსახუროთ საქართველოს დემოკრატიულს რესპუბლიკას, მას ერთს შევწიროთ მთელი გული, მთელი გრძნობა. ნება მიბოძეთ, დავიძახო — გაუმარჯოს და აყვავდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა! თავისუფალო მოქალაქენო, თავისუფალ საქართველოს შვილნო, რა ტკბილად, რა მშვენივრად მოისმის ეს ხმა — „თავისუფალი საქართველო“...

**საქართველოს ერები**

„საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენას, როგორც მოსალოდნელი იყო, სიხარულით შეეგებნენ საქართველოში მცხოვრები უცხო ეროვნებები და აგრეთვე ჩვენი მახლობელი და შორეული მეზობლები...

საქართველოს მიესალმნენ უკრაინელები, ბერძნები, ლატიშები, ებრაელები. საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნებამ სალამი უძღვნეს საქართველოს და გამოთქვეს თავისი სიხარული, რომ მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღდგა.

ამ თანაგრძნობას ქართველი ერი მათგან სავსებით მოელოდა, ვინაიდან როგორც მახლობელ წარსულში, ისე შორეულ საუკუნეებში, საქართველოს ყველა მცხოვრებნი, როგორც ქართველნი, ისე უცხონი თავს მუდამ საქართველოს სრულუფლებიან და თანასწორ წევრად ჰგრძნობდნენ.

მტკიცედ გვწამს, რომ ქართველი ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შეთვისებული ეს კეთილშობილური თვისებები კიდევ უფრო განმტკიცებული იქნება მომავალს საქართველოში.

ჩვენ... ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ყველა მცხოვრებნი ერთგული ქვეშევრდომნი იქნებიან საქართველოსი და არც ერთი საქართველოში მცხოვრები ეროვნების წარმომადგენელი არ გახდება თანამოზიარე იმ ბინძური მუშაობისა, რომელსაც წინათაც ეწეოდნენ და ახლაც ეწევიან ზოგიერთი პოლიტიკური წრეები და რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგენილ საქართველოს ყოველთვის მოეპოვება საკმაო საშუალებები“.

**გაზეთი „საქართველო“ № 105, 31 მაისი, 1918 წელი.**

## წარსულის ფურცლები

# 26 მაისი და ბრძოლა ისტორიული ტერიტორიის აღდგენისათვის

### ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება პროფესორი ლევან თოიძე

**ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ ქართველ ხალხს ომები ჰქონდა ეროვნული ისტორიული ტერიტორიის დაცვისა თუ შემოერთებისათვის. მოკლედ ხომ არ შეეხებოდით ამ საკითხს?**

დიახ, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი არსებობა ომით დაიწყო და ომითვე დაასრულა. თუმცა, ომებს შუა პერიოდში მან მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეების წამოწყება და ბევრი მათგანის განხორციელებაც კი მოასწრო.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობისა სწორედ ეროვნული ისტორიული ტერიტორიის შენარჩუნებისა და აღდგენისათვის ბრძოლა იყო.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, რომელიც 1917 წლის დამლევსა და 1918 წლის დამდეგს შეიქმნა ამიერკავკასიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა სწორედ ეროვნული ტერიტორიის დაცვისათვის ბრძოლამ დააჩქარა.

ვამბობ დააჩქარა-მეთქი, იმიტომ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი იმ პერიოდში ადრე თუ გვიან მაინც დაისმებოდა და გადაიჭრებოდა, ხოლო ამ შემთხვევაში მე მინდა მკითხველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ 1918 წლის 26 მაისის გათენება ისტორიული მტრის — თურქეთის შემოტევებისაგან ეროვნული საზღვრების დაცვის ინტერესებმა განაპირობეს, დააჩქარეს.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მთელი ამიერკავკასია ერთობ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მხარის მმართველი პოლიტიკური პარტიები მტრულად შეხვდნენ ამ გადატრიალებას. მათ არ სცნეს საბჭოთა მთავრობა და მისი ნების წინააღმდეგ 1917 წლის ნოემბერშივე ცალკე მმართველობა მოაწყეს: უკვე დამხობილი დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანოს — ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომ“) ნაცვლად ამიერკავკასიის კომისარიატი შექმნეს. ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც უდღეური გამოდგა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკები, განსაკუთრებით საქართველო და სომხეთი, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მოხსნა კავკასიის ფრონტი, ამ რესპუბლიკებს ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებოდა.

მთავარი საფრთხე თურქეთიდან მოდიოდა. იგი არ დაკმაყოფილდა ბრესტის ზავის შედეგად მიტაცებული ტერიტორიით და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სიღრმეში შემოიჭრა.

კავკასიის ფრონტის მოშლით ამიერკავკასია ბედის ანაბარად დარჩა და მას თვითონვე უნდა მოეგერიებინა თურქეთის შემოტევა.

აზერბაიჯანი რელიგიური და პოლიტიკური პრინციპების გამო, და ეს, ალბათ, სავსებით გასაგებია, თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რბილად რომ ვთქვათ, ისეთ აქტიურობას ვერ გამოიჩენდა, როგორც საქართველო და სომხეთი. თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანს მაშინ ოფიციალურად რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი თურქეთის არმიის დასახმარებლად არ გადაუდგამს.

საქართველო და სომხეთი იმ დროს სამხედრო თვალსაზრისით მეტად სუსტნი იყვნენ, მათ ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ საკუთარი ძლიერი არმიების შექმნა და ეს ნათლად დადასტურდა ბრძოლის ველზეც, სადაც ისინი ვერ უმკლავდებოდნენ თურქეთის არმიას და დამარცხება დამარცხებას მოსდევდა.

ყოველივე ამის შედეგად აუცილებელი გახდა თურქეთთან დაზავება. საჭირო იყო აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკათა თვითგამორკვევა, რადგანაც მათი ინტერესები, საერთო მდგომარეობა, მათდამი თურქეთის დამოკიდებულება იმდენად განსხვავებული აღმოჩნდა, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეიქმნა თურქეთთან ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ერთიანი ფრონტით მოლაპარაკება.

ცხოვრებამ თვით დააყენა დღის წესრიგში ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმება, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკების გამოცხადება. პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საქართველო თვითგამოერკვა. ეს მოხდა 1918 წლის 26 მაისს. აქ მცირე როლი როდი შეასრულა გერმანიის რჩევამ, რომელსაც, პირველ რიგში, რასაკვირველია, თავისი ინტერესები ამოძრავებდა. მან საქართველოს თურქეთის აგრესიის შეჩერება აღუთქვა და შეუსრულა კიდეც, ხოლო სანაცვლოდ საგრძნობი მატერიალური კომპენსაცია მიიღო. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იგი გარკვეული პირობებით დაეუფლა საქართველოს წიაღისეულის ნაწილს.

ასე აღიდგინა საქართველომ 117 წლის წინათ დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის მმართველ ძალად საქართველოს მენშევიკური პარტია გახდა. მკითხველს აქვე უნდა შევახსენოთ, რომ ქართველი მენშევიკები ამ დრომდე არასოდეს აყენებდნენ რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის საკითხს. 1917 წლის ნოემბერში ისინი გაემიჯნენ არა რუსეთს საერთოდ, არამედ ოქტომბრის გადატრიალებას და თუ კი რუსეთში თებერვლის რევოლუციის შედეგად დამყარებული ხელისუფლება აღდგებოდა და რუსეთი საქართველოს კვლავ დაიცავდა გარეშე მტრებისაგან, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველი მენშევიკები რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის საკითხს არც არასოდეს დააყენებდნენ. 1918 წლის მაისში მათი ფერისცვალება გამოწვეული იყო ამიერკავკასიაში იმ დროს შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებით, კერძოდ, თურქეთთან ომით.

**— ეროვნული ტერიტორიის დაცვისათვის ბრძოლა, ცხადია, მარტო თურქეთთან ომით არ ამოწურულა. კიდევ რომელ ეპიზოდს გაიხსენებდით?**

უწინარეს ყოვლისა, ალბათ, დენიკინის რუსეთთან ბრძოლები უნდა გავიხსენოთ. საქმე ისე აეწყო, რომ 1918 წლის ზაფხულზე აფხაზეთის აჯანყების შემდეგ, საქართველოს მხედრობამ ჯიქეთი სოჭითა და ტუაფსეთი საქართველოს შემოუერთა. მაგრამ დაახლოებით ხახევარი წლის შემდეგ დენიკინმა ჯიქეთი დაიბრუნა (სოჭითა და გაგრით) და საქართველოს ჯარს გუდაუთამდე დაიხევინა. დენიკინი საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის გამართლებას იმით ცდილობდა, რომ ვითომც მას აფხაზეთის „განთავისუფლება“ აინტერესებდა.

საქართველოს ჯარმა მოახერხა ბზიფის გადაღმა გადაერეკა მტერი, მას შესაძლებლობა ჰქონდა გაეგრძელებინა ბრძოლა, მაგრამ დენიკინს ინგლისი გამოექომაგა და ქართული მხედრობაც შეჩერდა, თუმცა საბოლოოდ მან მაინც გადალახა ბზიფის პოზიციები, აიღო გაგრა და დენიკინი მეხადირს იქით აღმოჩნდა. აქ კვლავ ინგლისის სარდლობის მუქარამ შეაჩერა საქართველოს ჯარი. თუმცა 1920 წლის თებერვალში ჯიქეთის აჯანყებულმა ქართულმა მოსახლეობამ და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასულმა მოხალისეებმა შავი ზღვის განმათავისუფლებელი კომიტეტის დროშით კვლავ შემოიერთეს სოჭი — ტუაფსე. ეს შემოერთება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. სოჭიც და ტუაფსეც მალე რუსეთს დაუბრუნდა.

სომხეთ-საქართველოს ომიც ტერიტორიულ საკითხზე დაიწყო 1918 წლის მიწურულში. სომხეთი დენიკინმა და ინგლისმა წააქეზეს. ეს, რასაკვირველია, სომხეთს პასუხისმგებლობას არ ხსნის, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით მე მინდა გაგაცნოთ ერთი ადგილი ცნობილი მენშევიკი მოღვაწის, პროფესიონალი რევოლუციონერის, მენშევიკური მთავრობის ყოფილი სამხედრო მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან, რომელიც მისმა ვაჟიშვილმა, ბატონმა თეიმურაზ ლორთქიფანიძემ გადმოგვცა.

გრიგოლ ლორთქიფანიძე წერს, რომ სომხეთ-საქართველოს ომს „არ შეშვენის ქართულ-სომხური ომის სახელი, ვინაიდან არსებითად ის იყო ომი რუსეთისა (იგულისხმება დენიკინის რუსეთი — ლ. თ.) საქართველოს წინააღმდეგ და თუ გნებავთ, იმავე სომხეთის მოსასპობადაც მიმართული, ვინაიდან ეს ომი იყო მხოლოდ ერთი ეპიზოდი და კოლოსალური პროვოკაცია მიმართული იქითკენ, რომ რუსეთს საერთოდ ამიერკავკასია დაებრუნებინა თავის მფლობელობის ქვეშ“. არ შეიძლება არ გავიზიაროთ ეს აზრი.

დენიკინმა და ინგლისმა 1919 წლის თებერვალში შექმნეს ე. წ. ყარსის მთავრობა და ახალციხე — ახალქალაქი ჩამოგლიჯეს საქართველოს, მაგრამ ქართულმა მხედრობამ მაშინ ახალციხე — ახალქალაქი დაიბრუნა, არტაანიც აიღო და თურქაშენამდე მიაღწია.

როცა საქართველომ დროებით, მეტად ხანმოკლედ, სოჭი დაიბრუნა, მაშინ დადგა პერიოდი, რომლის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ხალხმა აღადგინა დამპყრობელთაგან დანგრეული თავისი სახელმწიფოებრივი კერა, აღადგინა ივერთა სამფლობელო თითქმის მთელ თავის ისტორიულ ტერიტორიაზე, სოჭიდან ოლთისის ჭიშკრამდე და შავშეთიდან საინგილოს კარებამდე, თუმცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მოზრდილი ნაწილი, როგორიცაა მაგალითად ჭანეთი, ისპირთორთუმი, საინგილო, ყაზახი და სხვ., შემოუერთებელი დარჩა.

**— ცოტა ხნით უკან დავბრუნდეთ. მოკლედ ხომ არ შეეხებოდით იმ როლს, რომელიც რუსეთმა შეასრულა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის შემოერთებაში, ისტორიული საზღვრების აღდგენაში?**

— მე-19 საუკუნეში რუსეთს რამდენიმე ომი ჰქონდა თურქეთთან, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ რუსეთმა თურქეთს წაართვა ისტორიული საქართველოს ნაწილი და თვითონ შეიერთა. ეს ტერიტორია კი, ფაქტობრივად, მის ნამდვილ პატრონს — საქართველოს დარჩა.

აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ რუსეთს ამ ომებში თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა, იგი თავისი იმპერიის გაფართოებაზე ფიქრობდა, და ეს ბუნებრივია, მაგრამ ვლაპარაკობთ იმ ფაქტობრივ შედეგებზე, რაც ამ ომებს საქართველოსთვის მოჰყვა.

პირველად, 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიაში შევიდა (და თუ შეიძლება ასე ითქვას საქართველოს „შეუერთდა“) ძველი მესხეთის ნაწილები: ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჯარაქი, ფოცხოვი და აბოცი (წილდირი), ანუ: ძველი სამცხე, ჯავახეთი და ერუშეთი.

შემდეგ, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად შემოერთებული იქნა მესხეთის მეორე ნაწილიც: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი და კლარჯეთი, კოლა არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი — ოლთისი.

ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის საზღვრებში დარჩა ჭანეთი, ანუ ლაზისტანი და ზემო ჭოროხზე მდებარე ნაწილი.

შემოერთებულ მესხეთში ხალხის მოძრაობა (გადასვლა-გადმოსვლა) დაიწყო. მაჰმადიანი ქართველები ვერ შეურიგდნენ ქრისტიანული რუსეთის მოსვლას და თურქეთში გადავიდნენ. ასე მოხდა, მაგალითად, 1828 წელს ახალქალაქის მაზრაში, იგივე განმეორდა 1878 წელს, როცა მარტო არდაგანის რაიონიდან აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა დაახლოებით 23 000 ქართველი მაჰმადიანი.

სამაგიეროდ აქ გაჩნდა სომხური მოსახლეობა, რომელიც სწორედ ქრისტიანულ რუსეთში ეძებდა თავშესაფარს. რუსეთის მთავრობაც მათ დახმარებას უწევდა და ქართულ მიწა-წყალზე ასახლებდა. პასკევიჩი თითოეულ სომეხს 25 მანეთსაც აძლევდა და 6 წლის განმავლობაში გადასახადებიდან ათავისუფლებდა.

ამ გზით ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში (სამცხე-ჯავახეთი) ჩასახლებულ იქნა 30 000-მდე სომეხი, მეფის მთავრობა მესხეთში ასახლებდა აგრეთვე ქურთებს, თურქებს, ბერძნებს, რუსებს და ა. შ.

1917 წელს რუსეთის იმპერიაში მყოფი მესხეთის მოსახლეობა შეადგენდა 419 000 სულს, მათ შორის ქართველებისა — 268 000 კაცს, ანუ 64 პროცენტს.

(დასასრული იქნება)

## წარსულის ფურცლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იყო შალვა-შავლეგო?

**ზეპირსიტყვიერება** ერის მხატვრული აზროვნების ვეებერთელა სტიქიონია. მასში ყველაზე სრულად და ნათლად არის ასახული მისი მატარებელი ხალხის ფსიქოფიზიონომიური ბუნება; სასწაულებრივი სისადავით და საოცარი სინატიფით არის არეკლილი ერის საფიქრალი, ნათელი იდეალები, სამყაროში საკუთარი თავის გაცხადებისაკენ დაუოკებელი ლტოლვა. ამიტომაც არის ზეპირსიტყვიერება ის საუფლო, რომელიც ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების თვალსაზრისით ყოველთვის და ყველა ვითარებაში ყველაზე სანდო და უტყუარ მასალას აწვდის ადამიანს. ეროვნული მოძრაობის გაშლა ამ სტიქიონის გაღვიძება და გაუხუნარი ეროვნული ფასეულობების გამოხმობაა.

დღეს ხალხურ ლექსად და სიმღერად ალქმული შავჩოხიანი შავლეგოს გმირული სული არის ქცეული ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთგვარ ჰიმნად. ჩვენმა ახალგაზრდობამ სწორედ ამ სახალხო გმირის სახეში შთაბეჭდილი იდეალები აღიქვა იმ ღირსებებად, რაიც დღევანდელი ქართველის პიროვნულ შინაარსს უნდა ქმნიდეს. დღეს დიდმა თუ პატარამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, აიტაცა და მღერის შესანიშნავ ხალხურ სიმღერას „შავლეგოს“.

შავლეგ, შენი შავი ჩოხა,
შავლეგო,
სისხლით გაგიხამებია,
შავლეგო,
ყაწიმები გიხდებოდა, შავლეგო
და ა. შ.

მაგრამ, ალბათ, ყველამ არ იცის, ვინ იყო შავლეგო, რა გმირობა ჩაიდინა მან, ან რატომ შემორჩა ქართველი კაცის ხსოვნას მისი თავგანწირვის, მტერთან შერკინების ამბავი.

შავლეგოს ვინაობით ჩვენში ბევრი დაინტერესებულა. ამ მხრივ ჩვენი სასიქადულო პოეტი გიორგი ლეონიძე გამოირჩევა. ისტორიული წყაროებისა და ზეპირსიტყვიერი ლექს-სიმღერების შეჯერება-ანალიზით მან დაადგინა, რომ შავლეგოზე არსებული სიმღერის საფუძველი ისტორიული ფაქტია. ამ ფაქტს მან „ქართლის ცხოვრებაში“ მიაკვლია (გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, გვ. 414). გ. ლეონიძემ გაარკვია, რომ შავლეგოს თქმულებაში შემონახულია მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის გმირის შალვა ახალციხელისა და მისი ძმის ივანეს ცხოვრება. ისინი ზემო ჯავახეთის მენაპირე ფეოდალები იყვნენ და თორელებად იწოდებოდნენ. პირადი დამსახურებისათვის მეფე თამარმა მათ ახალციხე უბოძა და შემდეგ ახალციხელებად მოიხსენიებოდნენ. მაგრამ მეფის წყალობა ამითაც არ ამოიწურა. თამარმა შალვას მანდატურთუხუცესობაც უბოძა. შალვა და ივანე ახალციხელები უნიჭიერესი მხედართმთავრები იყვნენ და თამარის მიერ გადახდილ მრავალ ბრძოლაში ისახელეს თავი. მემატიანენი განსაკუთრებით გამოყოფენ შამქორის (1195 წ.), ბასიანის (1202 წ.), გარნისის (1225 წ.) ომებს.

XII-XIII საუკუნეების საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციით ომში საქართველოს მხედრიონს წინ თორელები მიუძღოდნენ, „მეწინავე ლაშქრად“ იწოდებოდნენ. ამიტომ მტერს უპირველესად შალვა და ივანე ახალციხელები ერკინებოდნენ, საქართველოს ძლიერების ხანაში მეწინავეობა განსაკუთრებული პატივი იყო, გამორჩეული ვაჟკაცობით მოპოვებული. მემატიანენიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ ძმებ ახალციხელებს ბადალი არ ჰყავდათ ვაჟკაცობასა თუ ომის ხელოვნების ცოდნაში. განსაკუთრებული გარეგნობითა და პიროვნული ღირსებებით ძმებში შალვა გამოირჩეოდა. ქართველი მემატიანე-ჟამთააღმწერელი საგანგებოდ გამოყოფს შალვას ახოვანებასა და სიქველეს, სიმხნევესა და ძლიერებას.

შალვა ახალციხელმა ბევრ ბრძოლაში გამოიჩინა ვაჟკაცობა, განსაკუთრებით შამქორის ომში. ამ ომში, როგორც ცნობილია, მრავალი მაჰმადიანური ქვეყნის კოალიციური ლაშქარი დადგა ქართველთა პირისპირ. ქართველებმა ტერი განადგურეს. მეწინავე ლაშქრის მხედართმთავარმა შალვა ახალციხელმა მტერს წაართვა მაჰმადიანთა უძლეველობის სიმბოლოდ მიჩნეული დროშა და მეფე თამარს მიართვა. შთამბეჭდავია შალვა ახალციხელის პიროვნება ბასიანის ომში. აქ ქართველთა წინააღმდეგ სულთანმა რუქნად-დინმა სელჩუკთა ისეთი დიდი ლაშქარი გამოიყვანა, რომ ბრძოლის ველზე „მინდორი იგი ძლივთ იტევდა კარვებსა მათსა“. მოვუსმინოთ მეფე თამარის მემატიანეს ბასილი ეზოსმოძღვარს: „იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, და განგრძელდა მყოვარ-ჟამ და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხუნი, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს, და ესოდენ განგრძელდა ომი, რომელ ცხენი მოუკლეს ივანეს მსახურთ-უხუცესსა, ზაქარია გაგელს, ახალციხელთა შალვას და ივანეს, და სხუათა მრავალთა თავადთა...

მაშინ ვითარცა იხილნეს ლაშქართა თვის-თვისნი პატრონნი ქუეითნი, გაწირეს თავნი სიკუდილად, ჩამოხდეს ცხენისაგან და პატრონთა მათთა გუერდსა დაუდგეს ქუეითნი ქუეითთა და ეგრეთ ძლიერი ომი შეიქმნა....

და პირველსა მოიკიდებასა და ხეთქებასა კრმალთასა მოხედა წყალობა-აურაცხელმან ღმერთმან მოსავთა ჯუარისათა, და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან. და ანაზდად ეგეოდენი იგი სიმრავლე განსქდა, იძლია და დაიპანტა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 138).

ტრაგიკული გამოდგა შალვა და ივანე ახალციხელებისათვის გარნისთან გამართული ბრძოლა. ეს იყო 1225 წელს. ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო მეფე თამარი. სიფერმკრთალე შეპარვოდა ქართველთა სახელმწიფოებრივ ძლევამოსილებას. ქუფრდებოდა საქართველოს ზეცა. მონღოლთა ურდოები კულტუროსან ერთა წალეკვით იმუქრებოდნენ. ამ დროისათვის მათ ხვარაზმი წარსტაცეს იქაურ შაჰს ჯალალედინს. ეს უკანასკნელი არ შეურიგდა ბედს, ტახტწართმეული ირანს გაიქცა და იქ გამაგრდა. მალე შესძლო ფეხზე დადგომა, დიდძალი არმია შეაგროვა და თვალი საქართველოს დაადგა. დაადგა და სულ მალე ქართველთა სანაპირო მიწების რბევაც დაიწყო, ცოტა ხანში კი საქართველოს დამორჩილებაც მოსთხოვა. არ იყვნენ ჩვეულნი ქართველები ამგვარ კადნიერებას. უძლეველობის ხსოვნა ისე გასჯდომოდათ ძვალსა და რბილში, რომ ეტყობა ჯეროვნად ვერ შეაფასეს მუქარა. სასწრაფოდ შეკრიბეს ლაშქარი და მტრის შესახვედრად სომხეთისაკენ გაემართნენ. მტერი გარნისთან შეხვდათ, კარგად მომზადებული და გამაგრებული. ქართველთა მეწინავე ლაშქარს ტრადიციულად შალვა და ივანე ახალციხელები წინამძღოლობდნენ. თორელები გაშმაგებით ეკვეთნენ მტერს. ძირითადი ლაშქარი კი, რომელსაც ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი ედგა სათავეში, შორიახლოდან ადევნებდა თვალს ამ ბრძოლას. ძმებმა ახალციხელებმა მალე შეატყვეს, რომ მტერი მრავალრიცხოვანი იყო და ასე უეცრად, ერთი სულისამოღებით მისი შემუსვრა ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ, ივანე მხარგრძელთან მალემსრბოლი აფრინეს და მიშველება ითხოვეს. სამგზის გააგზავნეს მალემსრბოლი და სამჯერვე აარიდა თავი ივანე მხარგრძელმა ბრძოლას. მემატიანე გულისტკივილით გვამცნობს ამ ამბავს და დასძენს: მხცოვანი იყო ივანე მხარგრძელი, სიფხიზლე მოსდუნებოდა, ჰოჰმანი დაუფლებოდაო. იქვე კი შეპარვით იმასაც გვაუწყებს, იდუმალი შურიც ჰქონდაო გულში შალვა და ივანე ახალციხელებისა. შურმა თავისი ჰქმნა, თვალნი დაუბნელდა ამირსპასალარს, საქვეყნო ინტერესები პიროვნულ ანგარიშსწორებას ანაცვალა, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა და დასაღუპად გაწირეს თორელნიც და ძმები ახალციხელებიც. შალვამ და ივანემ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და რაკი სხვა გზა აღარ იყო, მტერს თავჯამოდებით ეკვეთნენ. უსასტიკესი ომი გაჩაღდა. რიცხვმრავალმა მტერმა შუაში მოიქცია ქართველთა მეწინავე ლაშქარი. სიმრავლემ თავისი ჰქნა. შალვას და ივანეს ცხენები დაუხოცეს (უკვე მერამდენედ), მათაც ქვეითად განაგრძეს ბრძოლა, მალე ხმლებიც ჩაუტყდათ ქნევაში, ჯაჭვჩაჩქნებიც დაელეწათ. ივანემ გარნისის კლდეებს მიმართა, მაგრამ მტერმა ქვებით ჩააქვავა, შალვა კი შეიპყრო.

ჯალალედინმა დიდად გაიხარა ძვირფასი ტყვეთი. მან კარგად იცოდა, თუ რა ძალა დაკარგა ქართველმა მხედრობამ შალვა ახალციხელის სახით და ამ ძალის თავის სასიკეთოდ გამოყენება სცადა. ტყვეს ტყვეობა არ აკადრა, ტოლსწორად სცნო, აღაზევა, სამფლობელოც უბოძა — ადარბადაგანი. ოღონდ ეგ იყო, ერთგულება და რჯულზე ხელის აღება მოსთხოვა სანაცვლოდ. შალვამ არ იკადრა გადარჯულება—ქართველობაზე ხელის აღება, უარი უთხრა ჯალალედინს. ხვარაზმელმა წყენა არ შეიმჩნია და მოცდა ირჩია. მთელი წელი იყოლია გვერდში და დღენიადაგ შეახსენებდა რჩევას — რჯულის გამოცვლას. ხოლო, როცა მიხვდა, რომ არაფერი გამოვიდოდა, შალვა შავლეგოდ დარჩებოდა და ხელს არ აიღებდა რჯულზე, უსასტიკესი წამებით მოკლა. ასე შემოგვინახა მემატიანემ შალვა ახალციხელის, სამშობლოსათვის წამებული გმირის სახე და მისი ტრაგიკული აღსასრული.

აი, ეს პიროვნება უნდა იყოს დღევანდელი ახალი ხიბლით გაბრწყინებული სიმღერის „შავლეგოს“ გმირი, მის გმირობას შეჰხარის, მის კაა ყრმობას შეჰღაღადებს ჩვენი ხალხი.

**თემურ ჯაგოდნიშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი

# ვთქვათ,

წინასწარ ბოდიშს ვიხდი, თუ ვცდები და ამაოდ ვცდილობ მივიპყრო თქვენი ყურადღება. აი, რა მინდა მოგახსენოთ:

მე ერთ-ერთი რიგითი ქართველი ვარ, რომელიც შეჰხარის საქართველოს ხვალინდელ დღეს და მზად არის დადგეს იქ, სადაც სამშობლო მოუხმობს.

რა თქმა უნდა, მეც ჩაფლული ვარ იმ ზღვა ინფორმაციის მორევში, რაც თავისუფლებისათვის ბრძოლამ მოგვიტანა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში ერთმანეთს ებრძოდა ორი დაპირისპირებული მხარე — იმპერიული რეჟიმი და ეროვნული ძალები.

საყოველთაო-სახალხო არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ისინი. მაგრამ ჯერ კიდევ გამარჯვებამდე, ეროვნულ ძალთა შორის გაჩენილმა პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობამ, რომლებსაც თუმცა საერთო მიზანი ერთი ჰქონდათ — საქართველოს განთავისუფლება, ისე დაგვაპირისპირა ერთმანეთს, რომ დღეს ყველაფერი დავივიწყეთ, გარდა ურთიერთ ანგარიშსწორებისა.

ტყუილად როდი ამბობდა მონღოლთა მთავარსარდალი ჯალალედინი: ქართველებს რომ ერთი პირი ჰქონდეთ, ქვეყნიერებას დაიპყრობდნენო...

დღიდან ქვეყნის მმართველობის სათავეში მოსვლისა, ახალ ხელისუფლებას გამარჯვებულ პოლიტიკურ ბლოკს — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ დაუპირისპირდა თითქმის ყველა დანარჩენი პოლიტიკური ძალა, რომლებიც უკვე გააერთიანა ერთმა სურვილმა — ოღონდ დაემხოს არსებული ხელისუფლება, ოღონდ არ იყოს მის სათავეში ზვიად გამსახურდია და ისე მოიხსენიებენ მის სახელს, თითქოს იგი ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი კი არა, მას მიტმასნილი ვინმე უღირსი, დროის კარნახით აღზევებული იყოს.

სწორედ ამის გამო, რაც ზარ უნდა სწორი ნაბიჯი გადადგას დღეს ახალმა ხელისუფლებამ და მისმა მეთაურმა, ოპოზიციური

# ვთქვათ,

ძალებისთვის მაინც მიუღებელი იქნება იგი.

ავლოთ ნებისმიერი ის მოქმედება ან უმოქმედობა, რასაც ოპოზიცია ბრალად სდებს არსებულ ხელისუფლებას და პირადად მის მეთაურს.

ვთქვათ, პირველსავე სესიაზე მიელო ხელისუფლებას კანონი მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, როგორც ამას დღემდე გაჰკიჟინებენ ისინი, მაშინ ხომ გაუგონარ განგაშს ასტეხდნენ თვითონვე — როგორ თუ საქართველოს მოქალაქის სტატუსის მიღებამდე დავარიგეთ მიწები, საქართველოში ხომ თითქმის ნახევარი არაქართულ. მოსახლეობას შეადგენსო!..

ისეთი სურათი დაიხატებოდა, რომ ქართული მიწების გამჩუქებელი სერგო ორჯონიკიძე ანგელოსად დაიხატებოდა ხელისუფლების სათავეში მდგომ ადამიანებთან შედარებით, რაშიც ცამდე მართალი იქნებოდნენ ისინი.

ვთქვათ, ხელისუფლებას არ გამოეცხადებინა გარდამავალი პერიოდი და მაშინვე მიეღო გადაწყვეტილება საოკუპაციო ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, როგორც ამას მოითხოვდნენ ოპონენტები, მაშინ ხომ მათივე სასაცილოდაც არ ეყოფოდათ ეს გულუბრყვილო გადაწყვეტილება. ხოლო თუ რა მოჰყვებოდა ამ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

აქაც ცამდე მართალი იქნებოდნენ ისინი.

ვთქვათ, ხელისუფლებას არ გაეუქმებინა დეკლარაცია ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ და დუმილით კანონიერი ძალა მიეცა მისთვის.

არც ეს არის ძნელი წარმოსადგენი, თუ რა მოყვებოდა ამას ოპოზიციური ძალების მხრივ.

ამჯერადაც ცამდე მართალი იქნებოდნენ ისინი.

# ვთქვათ...

ვთქვათ, არ ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი და თავისი ფანტასტიკური შედეგებით არ გამოგვეხატა ჩვენი ნება მსოფლიოს წინაშე. მაშინ ხომ რა ცილს არ დასწამებდნენ ხელისუფლებას და უკანასკნელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებდა.

აქაც ცამდე მართალი იქნებოდნენ ისინი.

ვთქვათ, ვთქვათ... და კიდევ ერთი:

ვთქვათ, გვიან დაბადებულიყო ზვიად გამსახურდია, მაშინ ხომ სრული სიმშვიდე იქნებოდა საქართველოში და დღეს არა გაჭირვებაზე, არამედ ძველებურად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე და ერთა ურღვევ, ძმურ კავშირზე გვექნებოდა საუბარი.

**ნომადი ბართაია**
მწერალი

# 26 მაისი

(დასასრული)

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში, მაგრამ დამოუკიდებლობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა.

ახლა, როდესაც კვლავ მივისწრაფით რეალური დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზების გააზრებას.

დამოუკიდებელი საქართველოს დაცემაში თავისი უარყოფითი როლი შეასრულა შინაპოლიტიკურმა ბრძოლამაც. მმართველი და ოპოზიციური პარტიებიც დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთი პროგრამების სისწორეში და ნაკლებად უსმენდნენ ოპონენტებს. ერთიანობის საჭიროებას, რა თქმა უნდა, ყველა აღიარებდა, მაგრამ ერთიანობა მათი პარტიის პოზიციაზე სხვების გადმოსვლად ესახებოდათ. ჩვენ უნდა ვისწავლოთ თუ როგორ მივაღწიოთ საქართველოს პოლიტიკურ ძალთა ერთიანობას მათი მრავალფეროვნების შენარჩუნებით.

ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისაკენ მიმართულ ეროვნულ ენერგიას, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობდნენ მისი პოლიტიკოსები, ხალხის სისხლითა და ოფლით მონაპოვარს ერის პოლიტიკურ მესვეურთა არასათანადოდ აწონილ-დაწონილი ნაბიჯები აბათილებდა.

1918 წლის მაისი კავკასიის ხალხების განთავისუფლების თვეს წარმოადგენდა. 11 მაისს შეიქმნა მთიელთა რესპუბლიკა ჩრდილოეთ კავკასიაში, 26 და 28 მაისს ამიერკავკასიაში შეიქმნა სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა მაგრამ კავკასიის თავისუფლება ხანმოკლე აღმოჩნდა და ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ კავკასიის ხალხებმა ვერ შეძლეს ერთმანეთთან მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობის დამყარება. კავკასიის ხალხების ერთიანობა კავკასიის მიერ თავისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. საქართველო უნდა ესწრაფოდეს კავშირი დაამყაროს თავის მეზობელ ხალხებთან, რამდენადაც ისინიც მიისწრაფიან თავისუფლებისაკენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ საქართველოს არაქართული მოსახლეობის ნაწილსაც. დღეს ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ქვეყნის არაქართული მოსახლეობა დაინტერესდეს საქართველოს დამოუკიდებლობით, გაითავისოს საქართველოს ინტერესები. ამის გარკვეულ საფუძველს იძლევა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში დამკვიდრებული იყო ცნება „საქართველოს ხალხი“, რომელიც რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს აღნიშნავდა, ეროვნებისაგან დამოუკიდებლად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა იმანაც განაპირობა, რომ საქართველოს არ აღმოაჩნდა ძლიერი მოკავშირე იმდროინდელ დიდ სახელმწიფოთა შორის, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნებით.

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და შექმნილი ვითარების გამოყენებითაა შესაძლებელი, მაგრამ ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას. ეს მხარდაჭერა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიღწეული, თუ საქართველოს განთავისუფლება, ამავე დროს, დემოკრატიული წყობილების დამკვიდრებაც იქნება.

**მალხაზ მაცაბერიძე**

# კაცი, რომელიც ორჯერ იყო თავისუფალი



ბატონი შალვა ხიდაშელი — აკადემიკოსია, ფილოსოფოსი. მუშაობს ფილოსოფიის ინსტიტუტში, დღიდან ინსტიტუტის დაარსებისა. 31 მაისს მას 80 წელი უსრულდება.

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია გულითადად ულოცავს მას დაბადების დღეს, თუმცა იმასაც დავსძენ, რომ ბატონ შალვასთან სულ სხვა მიზეზმა მიგვიყვანა. იგი 1918 წლის 26 მაისის ერთ-ერთი თვითმხილველია და გვსურდა მკითხველისთვის იმ მოვლენების ცოცხალი მოწმე გაგვეცნო.

როცა ბატონმა შალვამ ჩემი სტუმრობის მიზეზი შეიტყო, ჩაიღიმა და მითხრა: იცით, რომ მე მაშინ მხოლოდ 7 წლისა ვიყავი. თუმცა, რომ არ გავეწბილებინე ისიც დასძინა — არა, არ იფიქროთ, რომ სულ ვერაფერს გავიხსენებ... ბავშვობაში დაბრუნება ყოველთვის სიხარულს გვრის კაცს, მითუფრო თუ ბავშვობა ესოდენ დიდ მოვლენას ემთხვევარო...

— თვითონ ის დღე, 26 მაისი, სიმართლე გითხრათ, ბუნდოვნად მახსოვს — დაიწყო თხრობა ბატონმა შალვამ — უფრო მკაფიოდ 1919 და 1920 წლის 26 მაისის სადღესასწაულო პარადებს ვიხსენებ... ეს იყო ნამდვილი ეროვნული დღესასწაული.

მახსოვს, დემონსტრანტებს როგორ მიუძღოდნენ წინ მთავრობის წარმომადგენლები და რა უსაზღვრო იყო ხალხის აღტაცება...

ერთი ამბავი მინდა მოვიგონო: მაშინ რვა წლისა ვიქნებოდი... 26 მაისი თენდებოდა... ძალიან მინდოდა ეროვნული დროშით ხელში ჩამევლო თბილისის ქუჩებში, დროშა კი არ მქონდა...

ჩემი გულისტკივილი კი არავინ შეისმინა. დედამაც კი არ მომაქცია ყურადღება. რა უნდა მექნა... ჩამეძინა ასე გულდამძიმებულს...

დილით, თვალი გავახილე თუ არა საწოლის თავთან უმალ შევნიშნე პატარა ხისტარიანი დროშა. მივხვდი, ისევ დედაჩემს ეზრუნა ჩემი გახარებისთვის. იმ წუთას ჩემზე ბედნიერი მართლაც კაცი არ იყო...

ათი წლისა ვიყავი, როცა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა დასრულდა.

დამეთანხმებით, არც 10 წელია ისეთი ასაკი, ბევრი რამ რომ გავიხსენო, მაგრამ უცნაურია და ის ავადმოსაგონარი დღე მაინც უკეთესად მახსოვს:

მაშინ სკოლაში ვსწავლობდი, (დღევანდელ პირველ საშუალო სკოლაში). მოსწავლეებს რაღაც ფურცლები დაგვირიგეს, ხალხში გაავრცელეთო — გვითხრეს. ფურცლის ბოლოს ეწერა: ქუდზე კაცს ვუხმობთ ფრონტზე წასასვლელადო.

წარმოიდგინეთ, მაშინ ისიც კი არ ვიცოდი ქუდზე კაცი რას ნიშნავდა...

დღემდე ყურებში მიდგას ტაბახმელიდან მოღწეული ზარბაზნების გუგუნი...

მახსოვს, მთავრობის სასახლესთან (ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) გვარდიის მეთაური ვალიკო ჯუღელი სახელდახელოდ როგორ კრებდა მოხალისეებს და იქიდანვე ფრონტზე აგზავნიდა. მერე კი... ყველამ ვიცით, მერე რა იყო: ორჯონიკიძემ კრემლში დეპეშა აფრინა: თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებსო...

**— ბატონო შალვა, გჯეროდათ, რომ საქართველო ოდესმე კვლავ გახდებოდა დამოუკიდებელი?**

— საქართველო რომ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, მჯეროდა. ამის იმედს მაძლევდა როგორც ჩვენი ერის მთელი ისტორია, აგრეთვე დღევანდელი ცივილიზებული სამყარო, მაგრამ როდის დადგებოდა ეს დრო ჩვენთვის, ამ საკითხში არც უკიდურესად პესიმისტი ვყოფილვარ და არც უკიდურესად ოპტიმისტი.

დღესაც ხომ ვერ ვიტყვით, რომ დამოუკიდებლობა ბოლომდე გვაქვს მოპოვებული. წინ კიდევ დიდი ბრძოლებია გადასატანი და კიდეც გადავიტანთ, თუმცა ძალიან გაგვიჭირდება, რადგან 1918 წლის 26 მაისს ქართველი ხალხი ბევრად უფრო ერთსულოვანი შეხვდა ვიდრე დღესაა. პარტიებს შორის ბრძოლა მაშინაც იყო, მაგრამ...

**— საინტერესოა, რას განიცდის კაცი, რომელიც თავის სიცოცხლეში ორჯერ მოესწრო სამშობლოს განთავისუფლებას?**

მე და ჩემი თაობა ისეთ იდეებზე ვართ აღზრდილნი, რომ ერი უმაღლეს ღირებულებად მიგვაჩნია, ხოლო ერის დამოუკიდებლობა — უდიდეს ბედნიერებად.

**— ხვალ 26 მაისია, ქართველი ერის ყველაზე დიდი დღესასწაული და პასუხსაგები დღე. რას უსურვებდით საქართველოს?..**

კონკრეტულად — ქართველ ხალხს ვუსურვებდი ერთსულოვნებას! ვუსურვებდი ისეთი სიძლიერით დაეპყროს მათი გულები, ერის სიყვარულს, რომ ეს ნამდვილ და ერთადერთ ძალად იქცეს დღევანდელ ეროვნულ მოძრაობაში.

მხოლოდ ასე შეიძლება იმ ფუჭი ვნებების დაძლევა, რომლებიც ჯერ კიდევ უშლიან ხელს ერთსულოვნებას...

ესაუბრა

**მარინე დონაძე**

# ვის შეუძლია მხარში ამოგვიდგეს? ამას მოითხოვს ერის ინტერესები! დაბრუნდება თუ არა ფიროსმანი საქართველოში?

მოსკოვი. 21 მაისი. (საქინფორმის კორესპონდენტი დევი ბერძენიშვილი). მხატვრის ცენტრალურ სახლში, კრიმსკი ვალზე, 1 ივნისს იხსნება ანტიკვარულ-სამხატვრო აუქციონი. მას აწყობენ სსრ კავშირის სამხატვრო ფონდი და „ალფა-არტის" სამხატვრო-საწარმოო გაერთიანება. აუქციონზე წარმოდგენილ ნაწარმოებთა შორის არის დიდი ფიროსმანის ქმნილება „სააღდგომო ბატკანი", რომელიც დათარიღებულია 1914 წლით. ამ არცთუ დიდი ზომის, თუნუქზე ზეთით შესრულებული სურათის თავდაპირველი ფასი მილიონი მანეთია.

ვარაუდით, მისი მფლობელი უნდა იყოს ვინმე პალ-დმიტრიევი. მას ფიროსმანის სამი ნაწარმოები მემკვიდრეობით რგებია ახლობელი მხატვარი ცოლ-ქმრის იგორ პოპოვისა და ტატიანა ქეგინას გარდაცვალების შემდეგ. ორი ნამუშევარი შეისყიდა ფიროსმანის მუზეუმმა სოფელ მირზაანში. არსებული მონაცემების თანახმად კი, „სააღდგომო ბატკანი" უკანასკნელ დრომდე პალ-დმიტრიევის საკუთრება იყო. თუმცა აუქციონის მომწყობებმა ამ შემთხვევაში ისარგებლეს უფლებით არ დაასახელონ პირი, რომელმაც წარმოადგინა ხელოვნების ნიმუში.

თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია სურათის შემდგომი ბედი.

— აუქციონი გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, დავაბრუნოთ საქართველოში ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთი უდავო შედევრი, — თქვა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების განყოფილების გამგემ ლია დოლაბერიძემ. — მაგრამ აუქციონი უდიდეს საფრთხესაც შეიცავს. სურათი შეიძლება კვლავ მრავალი წლით დარჩეს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ან იქნებ, აუქციონის წესის მიუხედავად, რომელიც კრძალავს იქ გაყიდული ნაწარმოებების გატანას საზღვარგარეთ, არალეგალურად მოხვდეს დასავლეთში და ჩვენთვის საერთოდ დაიკარგოს. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: როგორმე უნდა შევიძინოთ დიდი ოსტატის ნამუშევარი. ამისთვის გვჭირდება ფული, სულ ცოტა მილიონი მანეთი. ჩვენს მუზეუმს ასეთი სახსრები არა აქვს. მივმართავ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, კულტურის სამინისტროს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კერძო პირებს: დაგვეხმარეთ! ყველამ ვიცით, რომ დღეს რესპუბლიკაში რთული ვითარებაა. და მაინც, საჭიროა ფულის შეგროვება, რადგან საქმე ეხება ხელოვნების შედევრს, ეროვნული კულტურის საგანძურს, რომელსაც ფასი არა აქვს, თანხა მოსკოვში უნდა იყოს არაუგვიანეს 29 მაისისა.

დრო იწურება!

საქინფორმი

# დეპეშა ნომერში

ჩვენ, ნორილსკელი ქართველები, ვთვლით თავს რა ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად, მხარს ვუჭერთ ბატონ ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას რესპუბლიკის პრეზიდენტობის პოსტზე. ვიმედოვნებთ, რომ საარჩევნო კომისია გაითვალისწინებს სურვილს და შეგვიტანს ამომრჩეველთა სიაში. იმედი გვაქვს, რომ დავბრუნდებით საქართველოში და სარგებლობას მოვუტანთ მას.

**ავთანდილ კაკულაშვილი, რობინზონ ესიტაშვილი, დავით მამალაშვილი, ომარ დანელია, შალვა კალხიტაშვილი, მურად სხირტლაძე, მერაბ გამგებელი, ილია კალატოზიშვილი, ნოდარ კობახიძე, ფირუზ ბებოშვილი, ოთარ თაქთაქიძე, ვასილ კალატოზიშვილი, ნოდარ ხუბიაშვილი, ვალერი მაღრაძე.**

(რედაქციისაგან: ბოდიშს ვუხდით დეპეშის ავტორებს, — შესაძლოა ფოსტის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, ზოგიერთი გვარი არასწორადაა წარმოდგენილი).

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# ფეხბურთი, წყალბურთი და სხვა...

XIII ტურის შეხვედრებიდან ჩვენ ინტერესს იწვევდა მატჩი გალში, სადაც ადგილობრივი „მზიური" გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — თბილისის „იბერიას" ხვდებოდა. ასევე დიდი ინტერესით მოელოდნენ ამ შეხვედრას გალელი გულშემატკივრებიც, მაგრამ...

ასეთი წვიმა აქაურებს კარგა ხანია არ ახსოვთ. როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში, გალშიც ორი დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა და უკვე წინდაწინვე ცნობილი იყო, რომ მოასპარეზე გუნდებისაგან მაღალ საფეხბურთო ოსტატობას ველარ ვიხილავდით. თუმცა ორივე გუნდმა მართლაცდა შესანიშნავი, ვაჟკაცური თვისებები გამოამჟღავნა და ორი ტაიმის განმავლობაში ცდა არ დაუკლიათ წარმატების მისაღწევად. იგივე შეიძლება ითქვას მსაჯთა ბრიგადიზე (სერგო კვარაცხელია, დავით თოდუა, მურად ჯულაყიძე), რომელმაც მაღალკვალიფიციურად ჩაატარა ეს უაღრესად კორექტული და საინტერესო შეხვედრა.

ალბათ, ცალკე უნდა აღვნიშნოთ გალელი გულშემატკივრები, რომლებმაც შესაშური ერთგულება გამოიჩინეს — 4 ათასამდე კაცმა თამაშის ბოლო წუთამდე არ დატოვა სტადიონის ტრიბუნები და თანაბარი ოვაციებით ხვდებოდა ორივე გუნდის ყოველ შეტევას.

...უკვე პირველი წუთებიდანვე მეტოქეებმა ერთმანეთს სწრაფი ტემპი შესთავაზეს და მთელი 90 წუთის განმავლობაში საიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა. „მზიურის" რიგებში თავდაპირველად განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა მეტად სახიფათო ფორვარდი მალხაზ მორგოშია, რომელიც საკმაოდ ბევრს მანევრირებდა ორივე ფლანგზე.

აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდს ტრავმის გამო აკლდა წამყვანი ფეხბურთელები — თემურ ქეცბაია, გია ჯიშკარიანი („იბერია") და სერგეი პავლიუჩუკი („მზიური"). სამივე ფეხბურთელი დიდ როლს თამაშობს თავიანთი გუნდების შეტევის ორგანიზებაში, ასე რომ, დანაკლისი მართლაც სოლიდური იყო. ტრავმა აწუხებდა აგრეთვე მალხაზ არზიანსაც. თუმცა იბერიელთა გამოცდილმა მცველმა მაინც შესძლო [illegible] ჩაეტარებინა მთელი მატჩი. წვიმა კი მატულობდა და მატულობდა. ერთ მომენტში კი იმედი [illegible] აშკარა საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ... წყლის გუბემ შეუშალა ხელი. ტაიმის მიწურულს „იბერიის" უპირატესობა გამოიკვეთა და ზედიზედ ორი საგოლე მომენტიც შექმნა, მაგრამ კახი გოგიჩაიშვილისა და გიორგი ნემსაძის დარტყმები სულ ოდნავ ასცდა მიზანს.

არ შეცვლილა სურათი მეორე ტაიმშიც. კვლავ გადაუღებელი წვიმა, კვლავ მაღალი ტემპი და ორმხრივი შეტევები... ბოლოსდაბოლოს, ორივე გუნდის მოთამაშეები მიხვდნენ, რომ შორი მანძილიდან დარტყმებს უფრო რეალური შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა და კობა ხარჩილავამაც და კახი კაჭარავამაც სწორედ ეს ხერხი გამოიყენეს, მაგრამ ნიკა ჩხეიძის და გიორგი მაკასარაშვილის კარებთან ხიფათი მაინც არ შექმნილა. ბოლო 10 წუთი კი უფრო წყალბურთელთა ასპარეზობას დაემსგავსა — იმდენად ჭირდა ბურთის დამო[illegible], რომ ალარაფერი ვთქვათ გააზრებულ კომბინაციებზე. თუმცა, მატჩის მიწურულს, „მზიურის" ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს კობა კვეკვესკირის სახიფათო დარტყმა სულ ოდნავ ასცდა კარს. საბოლოოდ ნულოვანი ფრე სრულიად ლოგიკური შედეგი იყო ამ საინტერესო და სანახაობრივი მატჩისა. აქვე, იმასაც დავსძენთ, რომ სახალხო ფრონტის გალის რაიონული ორგანიზაციის მიერ დაწესებული პრიზები (ორივე გუნდის საუკეთესო ფეხბურთელთათვის) სავსებით სამართლიანად დაიმსახურეს თბილისელთა კაპიტანმა კახი ცხადაძემ და გალელთა გუნდის ვეტერანმა, 37 წლის ალკაზ ქანთარიამ.

დასასრულ, გვინდა, ერთ მეტად საჭირბოროტო საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება. საქმე ეხება საფეხბურთო მოედნებს და მთლიანად, საფეხბურთო მეურნეობას. ბევრი, ძალიან ბევრია გასაკეთებელი ამ მიმართებით. არავინ არ არის დაზღვეული უამინდობისაგან თუ სხვა გაუთვალისწინებელი პირობებისაგან და, ამიტომაც, აუცილებელია, რომ თითოეულმა კლუბმა დროზე მიხედოს ამ საკითხს. საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებისათვის ხომ ყველაფრით უნდა ვიყოთ მზად — მინდვრები, გასახდელები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყველაფერს ამას, კიდევ ვიმეორებთ, დროზე, დღეიდანვე უნდა ძირეული განახლება. ყველაფერი ეს კონკრეტულად გალზე არ გვითქვამს, პირიქით — მინდორის კარგმა ხარისხმა კიდევაც მისცა შესაძლებლობა ფეხბურთელებს საინტერესო თამაში რომ ეჩვენებინათ...

დაბოლოს, გაგაცნობთ ზემოთგანხილულ მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობებს:

**„მზიური". მაკასარაშვილი, თ. ლურწკაია, ფარჯალია, დ. ლურწკაია, ჩაიკა, მეტრეველი (ხურცილავა), ჯღარკავა (ცვეკვესკირი), მორგოშია, ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.**

**—„იბერია": ჩხეიძე, არზიანი, ცხადაძე, შელია (მაჭავარიანი), ინალიშვილი, რევიშვილი, ნემსაძე, ჩიქოვანი, კაჭარავა, ყაველაშვილი (რ. არველაძე), გოგიჩაიშვილი.**

მომდევნო, მე-14 ტური გაიმართება 30 მაისს, სადაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მატჩი სოხუმში, სადაც ადგილობრივი „ცხუმი" ხვდება ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს, წლევანდელი ჩემპიონატის ნამდვილ „აღმოჩენას" ზუგდიდის „ოდიშს".

**გია ტუხაშვილი,**

**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.**

**XIII ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა:**

**„ცხუმი" — „ალაზანი" 5:0;**
**„ხანავარდო" — „გურია" 1:2;**
**„ოდიში" — „ბათუმი" 2:0;**
**„დილა" — „ქუთაისი" 3:3;**
**„კოლხეთი" — „გორდა" 1:1;**
**„შევარდენი-1906" — „ამირანი" 1:1;**
**„მერცხალი" — „კოლხეთი-1913" 2:1;**
**„ივერია" — „სულორი" 1:0.**

◆

მატჩი წყალტუბოში ადგილობრივ „სამგურალსა" და ზესტაფონის „მარგვეთს" შორის უამინდობის გამო არ გამართულა.

# აღორძინება არგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამაკაცთა საყურადღებოდ!

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება, ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობებს.

თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი მიმართეთ კოოპერატივ „კონტაქტს“.

## პატივცემულო მამაკაცებო!

მხოლოდ ჩვენთანაა დანერგილი იმპოტენციის (მამაკაცის სქესობრივი უძლურობა) მკურნალობა ერექტორით-მეთოდით, რომელიც მიუხედავად იმპოტენციის გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკისა გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით.

ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნალობის კომპლექსურობა (ელექტროთერაპია, მედიკამენტოზური, აპითერაპია, ბიოველი, წერტილოვანი მასაჟი და სხვა) ასევე საშუალებას იძლევა პროსტატის მაღალ შედეგიან მკურნალობაში.

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ᵃ, (სპორტსახკომის შენობა) II სართული. ოთახი: 9-10-11. ტელეფონი 22-55-71.

მიღება: სამუშაო დღეებში 19-დან 21 სთ-მდე.

შაბათ-კვირას 10-დან 12 სთ-მდე.

მკურნალობა ანონიმურია.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## ვაქირავებ

საკუთარ სახლს ეზოთი
ავჭალაში —
კოოპერატივებისათვის.
ცნობებისათვის დარეკეთ
22-35-07 $15^{00}$-დან $23^{00}$-მდე.

## მცირე სახელმწიფო საწარმო „ბიზნეს-ინფორმატიკა“

მცირე სახელმწიფო საწარმო (მსს) „ბიზნეს-ინფორმატიკა“, რომლის დამფუძნებელია სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, სთავაზობს ყველას თანამედროვე IBM PC/XT/AT-ის ტიპის კომპიუტერებთან მუშაობის შესწავლის მოკლევადიან კურსებს.

კურსები განსაზღვრულია სხვადასხვა წინასწარი მომზადების მქონე მსმენელისათვის: ჩაწყებული ახალბედიდან, დამთავრებული სოლიდური მომზადების მქონე მომხმარებლით.

მსმენელთა ჯგუფები მცირერიცხოვანია — არა უმეტეს 8 კაცისა. ამასთან აუცილებლად დაცული იქნება პირობა — ყოველ მსმენელს ცალკე პერსონალური კომპიუტერი.

სწავლების ვადა და პროგრამა განისაზღვრება ჯგუფის წევრთა ინტერესებით და საწყისი მომზადებით. სწავლებას გაუძღვებიან უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

სწავლების კურსის გავლის შემდეგ ახალბედებს შეეძლებათ დამოუკიდებლად მუშაობა ყველაზე თანამედროვე პერსონალურ კომპიუტერზე, ხოლო მომზადებულ მომხმარებელს შეეძლება შეისწავლოს: ტექნიკური რედაქტორები, სერვისული პროგრამები, ელექტრონული ცხრილები, დაპროგრამების ენები, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, გრაფიკული პაკეტები, სტატისტიკური პაკეტები და სხვა.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს შეეძლებათ შეიძინონ მათ მიერ შესწავლილი პროგრამები ჩაწერილი მაგნიტურ დისკოზე შესაბამისი აღწერით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №8, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, მსს „ბიზნეს-ინფორმატიკა“, ტელეფონები: 98-77-19, 98-76-47.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლოკი“

## ვცვლი კერძო სახლს

ვცვლი კერძო სახლს
მოსკოვის ოლქიდან
თბილისში კერძო
სახლზე. ცნობებისათვის
დარეკეთ ტელეფონზე
31-29-35 საღამოს
საათებში

## ვიზების სათარგმნელად

ვიზების სათარგმნელად მიმართეთ ფირმა „ჰუმანიზმის“ სერვის ბიუროს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ გამგზავრებისათვის საჭირო ანკეტები და ვიზების ქსეროასლები. მისამართი: ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედანთან), ტ. 99-20-76, $9^{00}$-$18^{00}$ სთ-მდე, ყოველდღე გარდა კვირისა.

„არგო-ბლიკი“

## ფირმა „ჰუმანიზმი“

ფირმა „ჰუმანიზმი“
ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
29-30 მაისს
მხოლოდ ორი დღით პირველად საქართველოში
გრანდიოზული შოუ-პროგრამა
სიცილი 91

მონაწილეობენ: ბიძინა მახარაძე, ელენე გრემელაშვილი, ქართლოს კასრაძე, მზია კვირიკაშვილი, ირინე ირემაშვილი, გურამ გეგეჭკორი, მერაბ სიჭინავა, გივი ბერიკაშვილი, ელენე ყიფშიძე, სოფიკო ჭიაურელი, კოტე მახარაძე, სატირისა და იუმორის თეატრები: „ანშლაგი“, „არლეკინი“, ვახტანგ ტატიშვილი, ნუგზარ კვაშალი, მამუკა კიკალეიშვილი, მაია ჯაბუა, მედეა ძიძიგური, ზურაბ ვადაჭკორია, ოთარ რამიშვილი, ლევან უჩანეიშვილი, გოგი დოლიძე,

ბავშვთა საესტრადო ანსამბლი „ტიტები“,

მოდერნისტული ბალეტი მისტერ X,

თემურ თათარაშვილი, სოსო პავლიაშვილი, გია ფარადაშვილი, გია სურმელაშვილი, ავთო შარვაძე,

სამეჯლისო ცეკვების ანსამბლი „თელა“

ანსამბლები: „ბლუზ მობილ ბენდი“, „ბლიკი“, “თეატრონი“, „ოთხი გია“, „ნატვრის ხე“,

ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „ქალაქური“.

შოუ კონცერტის სპონსორია: ფირმა „არგო“

პროგრამა მიჰყავს ზაზა ალექსიძეს.

დასაწყისი 20 საათზე.

შემოსავალი მოხმარდება ქველმოქმედებას.

მიიღება განაცხადი კოლექტიურ დასწრებაზე ტელ.: 93-20-76, 99-75-79

ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროებში.

## საფირმო კოოპერატივი „ექსტრა“

საუკეთესო პირობებს სთავაზობს ყველა დაინტერესებულ მძღოლს, მგზავრთა გადასაყვანად. ხელშეკრულების გაფორმება შეგიძლიათ ყოველდღე: დილის 9 სთ-დან საღამოს 20 საათამდე. კოოპერატივი გადასახადის 50%-ის შემცირებით, შეღავათიან ფასებში ამუშავებს პენსიონერებს, მრავალშვილიან მძღოლებს და ინვალიდებს. შრომის წიგნაკით გაფორმებულ მძღოლებს სამუშაო დრო ეთვლებათ უწყვეტ სამუშაო სტაჟად. კოოპერატივში ექვსი თვის სტაჟის მქონე ყველა შეთავსებით მომუშავე მძღოლს უფლება ეძლევა ერთი თვე იმუშაოს საწევრო შესატანის გარეშე, რის ხარჯებსაც კოოპერატივი ღებულობს თავის თავზე. დაწვრილებითი და დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: გუდაუთის ქ. №5 (დიდუბე, პარფიუმერიის ფაბრიკა „ივერიასთან“, აგრომრეწვის გარაჟის წინ).

## ყურადღება!

თუ თქვენ გსურთ ბავშვების აღმზრდელის, მოხუცების, ავადმყოფების მომვლელის ბინაზე აყვანა, მიმართეთ ფირმა „ჰუმანიზმის“ სერვის ბიუროს.

მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19 (თავისუფლების მოედანთან).

ტელეფონი: 93-20-76

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

---

მოსკოვის, ჯუნა დავითაშვილის სახალხო მედიცინის სამეცნიერო ცენტრში კვალიფიკაციის გავლის შემდეგ, კოოპერატივ „მკურნალში“ დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო ცნობილმა ექსტრასენსმა ინა კარახანმა.

ინა კარახანს შემუშავებული აქვს მკურნალობის სრულიად განსხვავებული მეთოდი, რის შედეგადაც იკურნება ისეთი დაავადებები როგორიცაა: ნერვოზი, ოსტეოქონდროზი, მარილების დაგროვება, თავის ტკივილები და თავბრუს ხვევები, თავის ქალის შიდა წნევის მომატება, კოლიტი, ქოლეცისტიტი, გასტრიტი, ართროზი, ართრიტი, შარდის შეუკავებლობა და სხვა.

ჩვენს კოოპერატივში მოსვლა პაციენტებისათვის მეტად მოსახერხებელია როგორც ადგილმდებარეობის ასევე მუშაობის საათების მხრივ.

ჩვენი მისამართია ქ.თბილისის I კლინიკური საავადმყოფო, წინანდლის ქუჩა № 9, „300 არაგველი“, ცნობებისათვის, მთელი დღის განმავლობაში, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე 74.47.75

კოოპერატივი მუშაობს ყოველდღე გარდა კვირა დღისა 16.30 სთ-დან 19 სთ-მდე. შაბათს 10 სთ-იდან 13 სთ-მდე.

## საქველმოქმედო კომერციულმა ფირმა „ჰუმანიზმმა“

განაახლა მიღება სიმაღლეში ზრდის რესპუბლიკურ ცენტრში. სიმაღლეში მატება ხდება ორგანიზმისათვის სრულიად უვნებელი მეთოდით, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ნოვატორ მოსკოველ ექიმს ანატოლი პალკოს. აქ პაციენტებს კომპლექსურ მკურნალობას უტარებენ, მაგრამ წამყვანი მეთოდი მაინც სამკურნალო ფიზიკური კულტურაა. ვიტამინო თერაპიის, სპეციალური მასაჟების, საგანგებო დიეტის, სპეციალური ვიბრაციული მაგიდის, დასაჭიმი მოწყობილობის, აუზის და საუნის გამოყენებით 3-6 სმ სიმაღლეში მომატება გარანტირებული გექნებათ.

პაციენტებს პროცედურების დაწყებამდე ექიმის დანიშნულებით უტარდებათ რენდგენოლოგიური, ლაბორატორიული და სხვა სახის გამოკვლევანი. ვარჯიშები ტარდება ყოველდღე გარდა კვირისა 15 სთ-დან 20 სთ-მდე. მიღება ექიმთან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 17 სთ-დან 20 სთ-მდე.

მისამართი: წერეთლის გამზირი 117. სპორტული კომპლექსი „უშბა“.

იჩქარეთ! ნუ დაკარგავთ შანსს.

---

ვცვლი,

ოროთახიან იზოლირებულ ბინას 32 კვ. მ ფართობით, ორი ლოჯიით და ტელეფონით ქობულეთიდან თბილისში. ცნობებისათვის დარეკეთ:

38-99-86

29-37-40,

თბილისი.

იკითხეთ მარინა ან სოსო.

## ფირმა „ჰუმანიზმი“

აცხადებს მიღებას გიტარაზე საესტრადო სიმღერების დაკვრის შემსწავლელ კურსებზე 1,5-თვიანი სწავლების ვადით. კურსებს ხელმძღვანელობენ გიტარაზე დაკვრის ჩინებული ოსტატები.

მიღება — წინასწარი ჩაწერით ფირმის წარმომადგენლობაში.

მისამართი: ლერმონტოვის ქ. №19 (თავისუფლების მოედანთან).

ტელ: 99-20-76 ($9^{00}$ — $18^{00}$ სთ-მდე).

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.